

K 155 118
3

ერლ კულტურასა შოთილი



ხიჭა ბაგრის
მეგზური



თბილისი
1974

მისამართი ველიქანაშვილი



ხიზაბავრის მეგზური

155118
3



„მეცნიერება“
თბილისი

1974



91(c.922)(026) + 308 (c.922-22)



91(c41)(069)
91(47.922)(026)
3 318


- 1) ქართული სოფური
- 2) სოფია გერმანია შექტების მიერ
- 3) სიზარავის გეგმები

„ხიზაბავრის მეგზური“ წარმოადგენს სამცხე-ჭავახეთის წარსულიდან თვალ-საჩინო ისტორიული სოფლის ხიზაბავრის გმირული წარსულისა და აშშმუს აღწერილობას, გამოქვეყნებული ლიტერატურისა და ადგილზე ავტორის მიერ შექრებილი მასალების ბიბლიოგრაფიას. მეგზურში საინტერესო ცნობებია მოთავსებული ხიზაბავრის მამულის თავდაღებულ გამოჩენილ შეილთა შესახებ, რომლებიც ჩვენი კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვა-დასხვა დარგს ემსახურებოდნენ. ცალკეა გამოყოფილი სოფლის მონაწილეობა სამამულო ოში, სადაც ბრძოლაში ჩაება 500 ხიზაბავრელი და მათვან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 116 ვაჟკაცი, რომელთა უკვდავსაყოფად ხალხმა ააგო 22 მეტრი სიმაღლის დიდების ობელისკი და სახლი პანთეონით.

1—6--2

M—607

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974



912.2

-50-

III 61 სიტყვა

სიტყვა სიტყვა სიტყვა

წინამდებარე პატარა მოცულობის წიგნი „ხიზაბავრის მეგზური“ დაწერილია მშობლიური კუთხის დიდი სიყვარულით სოფელ ხიზაბავრის წარსულზე და აწმყობე. მისი ავტორი მიხეილ იაკობის ძე ველიგანაშვილი განათლებით ინჟინერია, სამამულო ომის მონაწილე, პოლიტმუშავი, დაბადებული 1904 წ., აღზრდილი ხიზაბავრაში და სოფლის პირველი კომკავშირელი; მას დიდადი მასალა შეკრებია ხიზაბავრის შესახებ. მისი სტამბური წესით გამოცემა ნამდვილად კარგი საქმეა. წიგნი ძირითადად დაწერილია გამოკვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ადგილზე ავტორის მიერ შეკრებილი მასალების დამუშავების საფუძველზე.

ეს პატარა წიგნი წარმოადგენს სამცხე-ჭავახეთის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული სოფლის — ხიზაბავრის გმირული წარსულისა და აწმყოს აღწერილობას.

მასში მოცემულია სოფლის ისტორიული ძეგლები და თავგადასავალი, მისი ვაჟკაცური ბრძოლები თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ თვითმყოფობისა და ქართველობის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მეცნიერ თანამშრომელთა მასალები ხიზაბავრის შესახებ; გოლიათი ხიზამბარელის ნოსტეში დასახლება და ასპინძის ომში გამარჯვებული მეფე ერეკლეს „ნადიმი ხიზაბავრაში“.

მეგზურში საინტერესო ცნობებია მოთავსებული ხიზაბავრელ მამულიშვილთა შესახებ, რომლებიც ჩვენი კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს ემსახურებოდნენ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ბრძოლას ცარიზმისა და თვითმყოფობელობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას, საკოლმეურნეო მშენებლობას, განათლებას და სხვა.

ცალკეა გამოყოფილი სოფლის მონაწილეობა სამამულო ომში, სადაც ბრძოლაში ჩაება 500 ხიზაბავრელი და მათგან ბრძოლის

ველზე გმირულად დაეცა 116 ვაჟკაცი, რომელთა უკვდავსაყოფად 1972 წელს ხალხმა ააგო 22 მეტრის სიმაღლის დიდების აბელისკი და მამულიშვილთა დიდების სახლი პანთეონით, რომელიც არქიტექტურულად დაგეგმა და 3 წლის განმავლობაში უანგაროდ ხელმძღვანელობდა მის აგებას სოფლის პატრიოტი, ამ წიგნის ავტორი, მან ობელისკი თავისივე სიტყვებით დაამშვენა:

მესხო კეთილნო, ქებულნო,
ეს ძეგლი სოფლის გულია,
დავგეგმე, ტრუობით ავაგე
ჩაუდგი ხალხის სულია.

დურმიშხან ცინცაძე

9. VIII. 1973 წ.

ს ი ზ ა ბ ა ვ რ ა

„ეს სოფელი ამით არის შესანიშნავი, რომ სამესხეთოს ყოველი გარედანი და შინაგანი სიძელის სახელი და ველრება სრულ თავსში შეუჩიევლად შეუნახავს დღემდე“.


ი ვ ა ნ ე გ ვ ა რ ა მ ა ძ ე

(ვინწე შესხი)

ხიზაბავრა მდებარეობს ასპინძიდან 12 კილომეტრზე, აღმოსავლეთით, ხერთვისისა და მტკვრის მარჯვენა მხარეს. სოფელს შვენიერი მდებარეობა აქვს. იგი გაშენებულია შეუვალი ციცაბო კლდეებით გარშემორტყმული ქარაფ-ტაფობის თავზე, 20 კვადრატულ კილომეტრიან ზეგანზე.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს ასპინძისა და ხიზაბავრის შემოგარენს:

„ასპინძის ზეით, ჩდილოთ კერძოთ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი. ამავე ხევ-ზედ, ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილი ქვაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ ხევს ერთვის ჯაბოეთის ხევი... ასპინძის-ხევის სათავე-ზედ, მთის ძირ-ში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო შვენიერს-ადგილას, დიდ-შენი, სულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი. ასპინძის-ხევის შესართავს ზეით მოერთვის მტკვარს ვარენთის-ხევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარენთას არს ციხე მაგარი, კლდესა ზედა შენი. ამ ხევის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის აღმოსავლიდამ კოხტის-ხევი. გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად. კოხტის ამ ხევს მოერთვის სხვა ხევი, მისვე მთის გამომდინარე. ამ ორ ხევს შორის არს ციხე კოხტისა, დიდშენი და მაგარი. კვალად მტკვარს მოერთვის, კოხტის ხევის შესართავს ზეით, დადეშის ხევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა. დადეშს არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშვენიერ ადგილს შენი, აწ ცალიერი. ამ ხევის შესართავს ზევით, ნიკ-



სურ. 1. ხიზაბაგრა, სოფლის ცენტრი

გორის პირისპირ, მტკვარს მიერთვის შულავრის ხევი, გამომდინარე ურუშეთის მთისა. ამ ხევს ზევით, ხერთვისს, ერთვის ჯავახების მდინარე მტკვარს, რომელსა უწოდებენ ჯავახეთის მტკრადული და ამ მდინარეს მიერთვიან ყოველნი ჯავახეთის მდინარენა ხერთვის არს ხიდი მტკვარსა ზედა. ამ ხიდს ზევით მიერთვის მტკვარს ქაჭარაქის ხევი. გამოსდის ერუშეთის მთას, ამ ხევს ზეით მოერთვის მტკვარსვე ქარზამეთის ხევი... ქარზამეთს არს მონასტერი გუნდათიანი, მდიდრად შენი, კეთილს ადგილას, და აშ ცალიერი. ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი, კლდეთა შინა გამოკვეთილი, სენაკ-პალატებითურთ და მას შინა ეკლესია აშენებული 61 მეფის გორგიას-გან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეჯლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა. დაფლულ არიან 61 მეფე გიორგი, 75 მეფე კონსტანტინე და სხვანიცა¹.

დღემდე ხალხში შემონახულია ლეგენდა, რომელიც ხიზაბავრის წარმოშობაზე მოგვითხრობს.

დიდი ხნის წინათ ამჟამინდელი ხიზაბავრის ტერიტორიაზე თურმე ორი პატარა სოფელი იყო: ხიზა და ბავრა. ხიზაშიც და ბავრაშიც სამ-სამ ოჯახს უცხოვრია.

კავანა ხევის ბოლოში (დღევანდელი სასაფლაოს ღელეზე) მოჩუხებული დიდ წყაროსთან დისახლებული სამი ოჯახი სამხრე-თიდან ყოფილა გადმოსული და მათ თან წამოულიათ თავისი „სოფლის“ სახელი ბავრა.

ზამთრის ერთ დღეს ბავრელი კაცი წყაროზე წასულა. მას ახალ ნათოვარზე ადამიანის ნაფეხურები შეუმჩევია. გახარებია, ვიღაც მოსულა წყაროზე და წყალი წაულიაო, წყლის ჭურჭელი იქვე მიუგდია და ნაკვალევს გაჰყოლია. კვალს ხიზაში მიუვანია, საღაც მას სამი კაცი დახვედრია. მათ ერთმანეთის ნახვა დიდად გახარებიათ. შეთანხმებულან, ერთად ეცხოვრათ, იქ, საღაც შადრევანივით მოსჩეფდა ანკარა წყარო. წაჰყვა სამი ხიზელი ოჯახი ბავრელს და ერთად დასახლდნენ. ასე დარქმევია სოფელს სახელი ხიზაბავრის.

არის კიდევ მეორე თქმულებაც. თავდაპირველად თურმე შხოლოდ სოფელი ხიზა ყოფილა, რომელსაც ახლანდელი ხიზაბავრის ნაწილი ეჭირა. დანარჩენი ტერიტორია, რომელსაც ბავრის უწოდებდნენ, დაუსახლებელი ყოფილა. ხიზელებს სასმელი

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა საქართველოისა, წ. 1, სამცხე, 1892, გვ. 15—16.

წყალი არ ჰქონდათ, ბაგრაში კი წყარო მოსჩეფდა. ხიზელებს გადაუწყვეტიათ წყაროს დაბლა მდებარე ტერიტორიის ნაწილზე ჩასახლებულიყვნენ. ასეც მომხდარა და სოფელსაც სახელი ჰქონდა.

ხიზა — ბარა — ხიზამბარა — ხიზაბავრა.

მეცნიერები ხიზაბავრის ტერიტორიაზე აღამიანის ცხოვრებას გვიან ბრინჯაოს ხანაში ვარაუდობდნენ.

სოფელ ხიზაბავრაში ნაპოვნი სპილენძის ცული და შუბის წვერი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება. აქვე ნაპოვნი ბრინჯაოს თოხები უკვე შემდგომი ეტაპისაა. მაშასადამე, აღამიანის ცხოვრება ხიზაბავრას ტერიტორიაზე სწორედ გვიან ბრინჯაოს ხანაშია სავარაუდებელი².

ასეული წლების მანძილზე მომხდურთა ფეხქვეშ ითელებოდა მესხეთის მიწა, ასეული წლების მანძილზე ენით გამოუთქმელ უბე-ღურებას განიცდიდა, ერთ ღროს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ნანგრევებად იქცა, რა თქმა უნდა, ვერც ხიზაბავრა ვადაურჩა მტრებისაგან მრავალგზის აოხრებას. მონგოლების, სპარსელების, თურქებისა და ლეკებისაგან აოხრდა და მოისპო ხიზაბავრის ორგვლივ მდებარე სოფლები: ოსპნაური, უნაგირა, ოდისები, ვარანტა, საბუზარა, ობოლეთი და ხიზა. ხიზაბავრის ახლანდელ ტერიტორიაზე არსებული ძევლისძველი ნასოფლარების ნანგრევები, ერდო-კალოებისა და ეკლესიათა კედლების ნაშთები ღღესაც გვახსენებენ ოდესლაც თავიანთ არსებობას. ერთ-ერთი ასეთი აოხრებული აღილია ობოლეთი³, დანგრეული ეპლესის ნაშთით.

ობოლეთის ტყეში შესასვლელ ვიწრო ჭიშკარს, რომლიდანაც მხოლოდ საცალფეხო გზა გადის, „კლდეკარი“ ეწოდება. ამ ადგილას კლდის სიმაღლე შვიდ მეტრს აღწევს. კლდეკარიდან დაახლოებით კილომეტრის დაშორებით გამოდის ცივი ანკარა წყარო, რომელსაც ხალხი „უძვდავების წყაროს“ უწოდებს.

² Т. Н. Чубинишвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбашидзе, Археологические разведки... (Месхети-Джавахети), журн. «Советская археология», № 4, 1957.

³. 3. ფილფირაშვილი, ობოლეთი, ლიტერატურული გაზეთი, 1960, № 36, (1206), 2 სექტემბერი, გვ. 2.

ობოლეთის ეკლესიას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ჩაუდის ნაკადული, რომელიც ტყიანი კლდეებით შემოსილ დღდ ხეობაში მიედინება. ეკლესიის სარკმლის თავზე, გათლილ ~~ქავშენებული~~ ამოჭრილია ერთსტრიქონიანი წარწერა, რომელიც დღეს ~~ამოჭრილია~~ იკითხება.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის კუთხის, სარკმლისა და თაღების გაღამყვანი ქვები, კედლის სხვა ქვებისაგან განსხვავებით, უფრო კარგადაა დამუშავებული. დასავლეთის კედლის საძირკვლად კლდეა გამოყენებული.

ობოლეთის ეკლესიის ჩრდილო კედლის აღმოსავლეთით, დაშორებით, არის სხვა ნაგებობის კედლის ნაშთები, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით კიდევ უფრო კარგად ჩანს ექვსი სხვა ნაგებობის საძირკველი. შესამჩნევია ისიც, რომ ზოგიერთი ნაგებობა ოროთახიანი ყოფილა.

მკლევარი თ. ბარნაველი „ობოლეთის“ ეკლესიის წარწერის შესრულების თარიღიდან ვარაუდობს X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისს.

ხალხში დაცული გაღმოცემის მიხედვით ოდესლაც, დიდი შემოსევისას, მტერს გაუნადგურებია სოფლები: ოსპნაური, ვარანტი, ხიზა და ნაწილობრივ ბავრაც. უცნობ პირს, რომლის სახელიც: გაღმოცემაში დაცული არ არის, ზემოთ დასახელებულ ოხრებულ სოფლებში გაუშენებია თავშესაფარი და ეკლესია, რის შემდეგ ამ ეკლესიას შერქმევია „ობოლთა“ ეკლესია, ტყეს კი „ობოლეთის“ ტყის სახელწოდება. ღლეს ხალხში მთელი ეს მიღამოები „ობოლეთის“ სახელწოდებითა ცნობილი.

მეორე გაღმოცემის მიხედვით თვით ობოლეთის ტყე სოფ.. ხიზაბავრის მცხოვრებლებს გამოყენებული ჰქონიათ თავშესაფრად.. შემოსეული მტერი ტყესაც ანადგურებდა. ღლეისათვის ამგვარად განადგურებული ტყე ღიღ შიშველ ფართობს მოიცავს ცხენთაჭალის ვაკე აღგილს, რომელიც ობოლეთის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მას, იმავე გაღმოცემის მიხედვით, ხალხი „ლეკის ნაჩეს“ უწოდებს.

უამიანობისას ასევე უმოწყალოდ გაუვერანებიათ სოფელი ხიზაც, რომელსაც სტრატეგიული ოვალსაზრისით საიმედო აღგიღ-მდებარეობა ჰქონია. იგი ყველა მხრიდან დაცული ყოფილა მიუვალი სალი კლდეებით, კერძოდ: სახიზარით, იღაყვანით, საგოგაოთი, ჩანჩხერელათი, კლდეკარით, ბრაწნალით გორაბანით, სამყინვაროთი, ჩიხორიშით, ოქროსქვათი და ნაფეტვარის ქარაფებით..



სურ. 2. ხიზის საერთო ხედი



სამცხეში ბარბაროსი, ველური ტომების თარეშმა მოსახლეობას თავისი დაღი დაასვა, განადგურებამდე მიიყვანა კულტურა და მეურნეობის ყველა დარგი, თითქმის განიდევნა ქართული ენა, მოისპონ სწავლა-განათლება.

და მაინც, დიდი ილიას მოხდენილი ნათქვამი რომ გავიმეოროთ, „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ [სამცხეში] აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქერნა, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“⁴.

როგორც ცნობილია, „1625 წელს ბექა ჯაყელმა მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თულიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრი თავალ-აზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობითა; სამღვდელონი და ეპისკოპოსნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარ-ცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს“⁵.

ასე მიაქანებდნენ უფსერულისაკენ მესტეთის ათაბაგები საათაბაგოს. მათ უარყვეს ქრისტიანობა და, მასთან ერთად, მამაპაპათა მიერ შეძენილი და შექმნილი ქართული კულტურა, სალო-ცავები მიზგითებად გადაკეთეს. რისი შემუსვრაც ვერ მოასწრეს, ვერანად დასტოვეს...

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა საბოლოოდ დაიპყრო სამცხე-საათაბაგო. ოსმალთა აგრესიის შედევები ძალზე სამძიმო შეიქმნა ამ მხარისათვის. სამცხეში მათ თავიანთი ბატონობა დაამყარეს და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“, ე. ი. „საქართველოს პროვინცია“ უწოდეს. ოსმალებმა დაბეგვრის მიზნით „გურჯისტანის ვილაიეთის“ საყოველთაო აღწერა მოახდინეს. აღწერეს როგორც მოსახლეობა, ასევე ნათესი მიწები, ბაღები, ვენახები, საძოვრები, თითქმის ყველა შემოსავლის წყარო. აღწერისათვის შემოღებული იქნა დავთრები სახელწოდებით „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“⁶.

4. ი. ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გვ. 11—12.

5. იქვე, გვ. 12.

6. ს. ჭავჭავაძე, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 176.

„დავთრის“ მიხედვით ტერიტორიულად „გურჯისტანის ვალა-იეთში“ საქართველოს შემდეგი ნაწილები შედიოდა: „ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩალდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ჭანაკის, დიდი არტანის“ ლივები.

სოფელი ხიზაბავრა ხერთვისის ლივაში შედიოდა.

„სოფელი ხიზაბავრა სათესველით, ოსპნაური და სოფელი გომის ვენახებითურთ.

მცხოვრებნი:

1. რევაზა-სძე
 2. გოგიჩა ძმა მისი
 3. — ის ძე
 4. ელია სუმბათასძე.
 5. გულისადებ ძმა მისი
 6. ველიჯან ემირგულისძე
 7. — ძმა მისი
 8. ჯანელა (?) ღარიბ (?) ის-ძე
 9. საბია ძმა მისი
 10. გულია ძე მისი
 11. ვარმიშასძე
 12. ბატატა ძე მისი
 13. ველუ იოსებისძე
 14. ლაშქარა ჯანელა (?) სძე
 15. ლომიზგულ ძე მისი
 16. შაქარა შაქარასძე
 17. ყულიჯან ძმა მისი
 18. მეორე ძმა მისი
 19. კიდევ ძმა მისი
 20. პაპუნა რევაზას ძმა
- სულ ორმოცი კომლი, გადასახადი ჯამით: 15165 ახა...
აქვეა სხვა სოფლებიც:
21. ყანდო აზარგულისძე
 22. ძამაგულ (?) ძმა
 23. პაატაგულ (?) მაზანასძე
 24. კაკალა ძე მისი
 25. მაზანა სოზასძე
 26. გოგიჩა ძმა მისი
 27. პატია (?) მღვდელი
 28. ძამაგულ (?)-ის შვილი—შვილი
 29. (პატია?) დოვლათიარასძე
 30. ბატატა შაქარას ძე
 31. გულია ძმა მისი
 32. მახა ღანიელასძე
 33. სახელად ფირალა
 34. სახელად გაგა
 35. სახელად —
 36. სახელად ძმა
 37. მეორე ძმა მისი
 38. — ძე მისი
 39. პაპუნა ირაკლი (?)
 40. მეორე ძმა მისი”⁷

⁷. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1941, გვ. 175.

„სოფელი ხიზა:

1. იასა-სქე.
2. მახარებელ სქე
3. მახარებლის შვილი შვილი
4. მათარსა ჩირქინასქე“^{8.}

მათი გადასახადი ჯამით: 15100 ახშა.

სოფელი შოდირგანი — წერაკუნტა სათესველით 7 კომლი
ჯამით 12000 ახშა.

სოფელი სარო — 20 კომლი გადასახადი ჯამით — 26300 ახშა.

სოფელი ოსერია 10 კომლი გადასახადი ჯამით — 7000 ახშა.

სოფელი გომი 6 კომლი გადასახადი ჯამით — 1000 ახშა.

სოფელი ბნალა [ბნელა] 7 კომლი გადასახადი ჯამით — 12000 ახშა.

სოფელი ორმოცი — სოფელ საროს ვენახების გაშორიცხვით — 2000 ახშა.

სოფელი — ნიჯორი 35 კომლი გადასახ. ჯამით 15000 ახშა

სოფელი ოძისი სოფელ საროსთან ცარიელი

სათესველი ბავრა და (?) ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000 ახშა „სოფელი ნაისა 1. სახელად მამუკა

2. ყანდუ სქე

3. კაკულა (?) ძმა მისი“

ჯამით 4000 ახშა.

სოფელი ხერთვისი 129 კომლის გადასახადი ჯამით 25000 ახშა

სოფელი ტოლოში 18“ ” ” ” 20000 ”

სოფელი აწეუტა 16“ ” ” ” 9000 ”^{9.}


ხიზაბავრის ისტორიული ძიგლები

ხიზაბავრაში ყურადღებას იქცევს მეცამეტე საუკუნეში ლა-
შა გიორგის მიერ აგებული „ლართის“ ეკლესია. მის მარცხნივ
მაღლობზე დგას კარგა მოზრდილი ახალი ეკლესია და სკოლის
ორი ქვის შენობა, რომლებიც 1898 წელს აიგო მიხეილ ვარძიელის
თაოსნობით.

სოფელში ლარიბათ-ფერაძეების სახლის (დღეს საუბნო სა-
ავადმყოფოა) სერზე იდგა ხიზაბავრის ციხე, რომლის კარების
წარწერიანი ბალვრის ქვა (120 × 80 სმ) დღემდეა შემორჩენილი.

8. გურჯაისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, საქ. სსრ. მეცნ. აკად.
ვამოც., თბ., 1941, გვ. 189.

9. იქვე, გვ. 180—189.



სურ. 3. XIII საუკ. ლაშე გოთრეგის სახელობის „დართის“ მაცხოველი

ეს ციხე 1897 წელს დაუნგრევიათ და მისი ქვები ახალი ეკლესის შენებლობისათვის გამოუყენებიათ.

ეს ძეგლები თავის დროზე ნახა ივანე როსტომაშვილშვა, რომელმაც წარწერა გადმოიღო კიდეც. შემდგომ, 1933 წელს ციხის ბერძნიშვილმა იმოგზაურა ხიზაბავრაში. იგი წერდა:


„ვავახეთში „ვარდისციხის ეკლესია ნახევრად დანგრეულია... ის XIV—XV ს-ნის ძეგლი ჩანს... ასეთ შთაბეჭდილებას იძლევა წარწერის ნაშთი. სამწუხაროდ თორმეტსტრიქონიანი წარწერილან, რომელიც მოთავსებული ყოფილა ეკლესის სამხრეთ კედელზე კარს ზემოდან ორ ქვაზე, დღევანდლამდის მიუღწევია მხოლოდ პირველი სტრიქონის დასაწყის სამ სიტყვას... იკითხება „სახელითა ღმსითა მოხები“... ვარდისციხის სასაფლაო. მხატვრულად ნაჯანდაკები ცხენ-ვერძები სამი ქვების გვერდით ოდესმე იქ ცოცხალ სიმღიდრე-სიღარიბეზე მიგვითოებენ... ვარევანის აღმოსავლეთით 2,5 ვერსში — ც ხ ი ა, ვარევანის აღმოსავლეთითვე ერთ ვერსში — ვ ა რ დ ი ს ც ი ხ ე, ვარევანის ჩრდილო-დასავლეთით 2,5 ვერსში — დ ა ღ ლ ა თ უ ბ ა ნ ი. ვარევანის ჩრდილოეთით ერთ ვერსში — კ ა რ კ ლ ი ა ნ ი. ხანდოსთან ახლოს — გრია, ალასტანის ახლოს — ო ლ დ ა ნ ი, დ ე ვ ა თ ი, ე რ ი კ ლ ი, ბ უ რ ა ს ტ ა ნ ი...“

უკვე წვიმდა და ბნელოდა, როცა ხიზაბავრას მივატანეთ. მოყვრულად დაგვიხვდა კომისარი პეტრე პოსოშვილი. გაგვიმასპინძლდა, მოგვასვენა და, რაც ყველაზე სასიამოვნო იყო — ვერანაების ცოდნაში დიდი უნარი გამოიჩინა.

ხიზაბავრის სამხრეთით ვერანა ხ ი ზ ა,
იქვე ხევში წითელი ხიდი რომ არის — ჩ ი ხ ო რ ი შ ი,
ჩიხორიშიდან დასავლეთით — გ ო მ ი,
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ო ბ ო ლ ე თ ი,
ხიზაბავრიდან იქითქენვე — ო ს პ ნ ა უ რ ი,
ხიზაბავრიდან ჩრდილოეთით — ვ ა რ ა ნ ტ ა,
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — თ ე თ რ ო ბ ი,
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — კ ო რ ო შ ე თ ი.
აქვე დაურთო: კოროშეთს თივა მოვთიბე,
ოლდან დამიძირია.

გოგო შენი სიყვარულით
მე ვერ დამიძინია

ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ოლდანი,
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ჭეროული,
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ჭობარეთი,



სურ. 4. ლართის ეკლესიის ეზოს კედელზე, ციხის კარის, ბალავრის დიდი ლოდი, XIII საუკ. წარწერით

ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — წერიქუნტა,
ხერთვის ზემოთ კვარშას დაბლა — კიცხი,
წყალგაღმა კიცხის პირისპირ — ნაისა,
ხანდოს მხარეს — გრია,
ასპინძის სამხრეთით — ხვილიში

ასპინძის ზევით ოთის „მამულში“ — აგარა, ბოგვთა, ასკილ-
ვანა, ღართა, ჭაიტა, (იქვე ოთის ტყეში ეკლესია-მონასტერი) ჭო-
ბიეთი.

3. პოსოშვილის მიერ უხვად მოწოდებული ცნობები უეჭვე-
ლად გვიდასტურებს იმ სამწუხარო ეჭვს, რომ ჩვენს მიერ აქამდის
შეკრებილი ვერანაების რიცხვი სრული არაა...

დილაადრიან ხიზაბავრის ძველი ეკლესის ეზოში წარწერი-
ანი ქვა მოვნახე, ის კარგად აქვს გადმოღებული ივანე როსტომა-
შვილს და შეიძლება საინტერესო იყოს, როგორც მხედრული ხე-
ლის გადაგვარების ნიმუში უწიგნურობის პირობებში...

წყაროს „ზემოთ“ ციხის წარწერა ადვილად ვიპოვეთ, როსტო-
მაშვილით ის ცნობილი იყო თამარის დროის წარწერად, ამავე მე-
ფის მოხსენებით, ეს უკვე თაყაიშვილმა შეასწორა — წარწერა
ასომთავრულია, მცირედ დაზიანებულია:

1. ქეარდ ძრი და [ო]... ქრისტე ადიგენ ძლიერი და ო
2. ძლი მერთა მეფე... ძლეველი მეფეთა მეფე.
3. დრტერდნ რძი მ.. მთ დემეტრე, რომელმან რეკი მამულობით
4. გბრძა მრს უმას ესე... გვიბოძა, მას უამსა ესე
5. ცხე ავაგთ მე ვ... ციხე ავაგეთ მე ვ
6. აჩე დავწერენ... აჩე დავწერენ
7. ე ეს-ჭ(?) და გჭის მ... ერისთავთ ერისთავნი და მა ჭას მა
8. მოლი... მული

ხელის მიხედვით წარწერა XIII საუკუნეს ეყუთვნის. წარწერა
საინტერესოა და XIII საუკუნისათვის დამახასიათებელია¹⁰.

მესხეთში კარგადაა ცნობილი ქვისაგან ნაშენი მიწისქვეშა შე-
იიღბული ნაგებობანი, რომელთაც შუა საუკუნეების ეპოქაში მო-
სახლეობა მტრის თავდასხმების დროს თავშესაფრად იყენებდა.
საქართველოში ასეთ ნაგებობებს „დარნებს“ უწოდებდნენ.

ხიზაბავრაში რამოდენიმე დიდი და პატარა დარანია. დარნებ-

¹⁰ ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1,
თბილისი, 1964, გვ. 170—172.

2. გ. ველიგანაშვილი



სურ. 5. დარბანის ობექტუს ლოგოტანი ქვის ფარი 100×80 სმ ჩარჩოებით

მა მოსახლეობა ბევრჯერ დაიცვა მტრისაგან. ამ დარნებიდან ერთი უნიკალურია. ის იწყება წყაროსთან და ჩაღის მდინარე მტკვრამდე. მისი სიგრძე 5 კმ-ია. დარნის მეორე შტო ვენახებში გადის ხოლო მესამე ნაფეტვარის გამოქვაბულებს უერთდება.

დარანს შესასვლელში ქვის კარები ება (მოცულობით 100×80 სმ), ქვისავე ორ ქუსლზე დაყენებული. კარი შიგნიდან მუხის ურდულით იკეტებოდა. დიდ დარნებს საჰაერო ერდოები პქონდათ. ასეთი ერდო დღესაც შემორჩენილია ველიჯანათ ნიგჭორულების თავში, საროს ძველ გზაზე.

სოფლის შუაგულში, წყაროს დასავლეთით, ერთმანეთის მიჯრით დაწყობილია უზარმაზარი ლოდებისაგან დამზადებული ხუთი ას-ასი ფუთი წყლის ტევადობის უძველესი აუზი პირუტყვის დასაწყურებლად.

წყაროს მარჯვნივ ძველი სასაფლაოა, ძველთაძველი ორნამენტებით შემკული საფლავის ქვებით.

ზამიას გვა

ხიზაბავრაში არის დიდი ქვის ლოდი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უამიას ქვას უწოდებს. მისი ზომაა: $315 \times 280 \times 210$ სმ, წონით 35 ტონამდე იქნება. ამ ქვის შესახებ ასეთი თქმულება არსებობს:

„წინათ ქვა რბილი ყოფილა, 9 ძმა დევი მისჯდომიათ და ეს მიწაზე მდებარე ქვა თავით აუყენებიათ, ამჟამად არსებული 9 ჩაღრმავებული ადგილი დევების თავების ნიშნებიაო“. აქვე დასძენენ: „სოფელში დილხანს ყოფილა ჭირიანობა, ვერაფრით მოუშორებიათ, ცხრა ძმა დევი შეშველებიათ, მათ სოფლიდან უამი ჭირი გაუდევნიათ, გზა ამ ლოდით ჩაუკეტავთ და სოფელი განადგურებისაგან უხსნიათ. მას შემდეგ ამ ლოდს უამიას ქვას ეძახიანო“.

ხიზაბავრა სავსეა ბაზალტის ჭიშის ქვა — ლოდნარით, რომელსაც სოფლის 300 ჰექტარამდე ფართობი უკავია. მნიშვნელოვნადაა ჩახერგილი 3—4 ტონიანი ლოდებით:

კაკანა ხევი, წვერები, კლდეწითლები, ნიგჭორის ყელი, დიდი გზის ყელი, ლომისადგომი, ნამარნეები, ხარძლები, ყვავიანი, ჩანჩხერელა, ოქროსქვა, სამყინვარო, გორაბანი, საგოგაო, ხიზა, სახიზარი და სხვა ადგილები. აქ მზისაგან დამწვარი, ხავსმოდე-

ପରିମାଣରେ ଲୋକ
ଜୀବନରେ ଯେତୋଟି



ପାତ୍ର. 6. ଶାଖାରେ ଦେଖା

ბული დევლოდები მოჩანან, როგორც ბობოქარი ზღვის ფათარიყუ-
რილი ტალღები, სადაც წვეთი წყალი და წყარო არაა, ზაფხულში უკა-
ბით კი არეკლილი მხურვალე მზის სხივების ალმური აღწევს კარი-
ფებზე გადაშლილ ხიზაბავრის ზეგანს და სიცხისაგან შუშხავს მო-
სავალს; ბუნებისაგან ეს მინიჭებული სიმდიდრე სოფელს მაშინ გა-
ახარებს, როცა დადგება ჯერი ამ ხაზალტის ჯიშის ქვის ათვისება-
გადამუშავებისა გზატკეცილების მშენებლობისა და ქიმიური პრო-
დუქციის საჭიროებისათვის.

ხიზაბავრის ბუნებრივი საყინულო

ხიზაბავრის ყინულის ბუნებრივი „მაცივარი“, რომელსაც აღ-
გილობრივი მოსახლეობა „სამყინვაროს“ უწოდებს, მთლიანად ღია
ცის ქვეშ, „ქვაგნარში“ მდებარეობს. იგი ყურადღებას იქცევს იმ
მხრივაც, რომ მისი ორმოები ზაფხულობით ბუნებრივად ჰიგიენუ-
რადაა დაცული და მოსახლეობა საჭირო შემთხვევაში ყინულით
დღესაც აქვთ სარგებლობს.

„სამყინვარო“ ასპინძილან დაშორებულია 5 კილომეტრით. იგი
მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, 200 მეტრ სიმაღლეზე.
სამყინვაროზე გადის ჩიხორიშილან მიმავალი მოკლე საცალფეხო
გზა ხიზაბავრისაკენ.

„სამყინვაროს“ ზემოთ, დაახლოებით 1 კმ მოშორებით, მდება-
რეობს ყოფილი ნასოფლარი ხიზა, ხოლო მისგან 3 კმ დაშორებით
ხიზაბავრა.

„სამყინვაროს“ ის ნაწილი, რომლითაც მოსახლეობა ზაფხუ-
ლობით ყინულით სარგებლობს, მდებარეობს ფერდობის ძირას.
მას დაახლოებით 2000 კვ. მეტრი ფართობი უჭირავს. იგი რამდენი-
მე ათეული სხვადასხვა სიდიდის ორმოსაგან შედგება: ორმოების
უმრავლესობა განლაგებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდი-
ლო-დასავლეთის მიმართულებით, ალაგ-ალაგ ეტყობა დროთა გან-
მავლობაში ყინულის ექსპლოატაციის შედეგად ორმოთა მოცულო-
ბის გაფართოება და თითქოს ხელოვნურობის ელფერიც დაპკრავს.

„სამყინვაროზე“ ყინული აგვისტომდე ინახება.

ყინული იდრე სოფელში „სამყინვაროდან“ მოპქონდათ ხის კა-
რებით და საბქელში, ბზეში, ინახავდნენ ხოლმე. ყინულს სხვადა-
სხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ წინათაც და ახლაც.

11 3. ფილფირაშვილი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომბე, ტ.
XXIX, № 6, 1962.



უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლების მრავალსუკუნოვან ისტორიაში 1770 წლის 20 აპრილი ოქროს ასოებით ჩაიწერა. ეს ის დღე იყო, როდესაც საქართველოს სახელგანთქმულმა მეფემ, ერეკლე მეორემ, ასპინძის ველზე „უძლეველ“ თურქთა 13-ათასიანი ლაშქარი სამი ათასი ბერმძრით გაანადგურა.


ასპინძის ომში სხვებთან ერთად თავი გამოიჩინეს ხიზაბავრელმა ვაჟეაცებმა. მათ ჩვეული ვაჟეაცობით მკერდით შეპრეს ჩიხორიშის ხეობის კლდეკარი და თურქებს აღმოსავლეთის გზა ჩაუკეტეს. დამპყრობლებს შეეძლოთ ხერთვისიდან მაშველი ძალები შემოეყანათ და ზურგიდან საშიშროება შეეჭმათ ქართველთა ლაშქრის მარცხენა ფრთისათვის, რომელსაც გიორგი ბატონიშვილი სარდლობდა.

ხიზაბავრელთა ასეთმა გონივრულმა და მამაცურმა მოქმედებამ გიორგი ბატონიშვილს მისცა ხვილიშის მინდორზე თავისი ლაშქრის მოხერხებულად განლაგების საშუალება.

21 აპრილს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებული მეფე ერეკლე, რომელმაც ნაღირშაპის ნაჩუქარი ხმლით კოხტა ბელადს თავი წააცალა, ხიზაბავრის თავკაცობაზ მთელი მხედრიონით სოფელში მიიპატიყა და გამარჯვებულებს დიდებული მესხური ნადიმი გაუმართა. ერეკლე მეორემ თურქების წინააღმდეგ უთანასწორო, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამარჯვება სწორედ ამ შესანიშნავ სოფელში იღლესასწაულა.

წყაროს კალოს დიდ მოედანზე ხალხმა სამი ათასი მხედრი-სათვის უზარმაზარი საზეიმო სუფრა გაშალა. თურქთა ტყვეობაში ნატანჯი სოფელი ქართველების გამარჯვებას ზეიმობდა. უხვმა და მადლიანმა მესხურმა პურ-მარილმა, ცხრაფურცელა ქადა — ყათმარმა და თაფლოვენმა ნაზუქმა სუფრა დაზნიქა. მაგიდას ამშვენებდა ხიზაბავრული წითელი ღვინო. მესხური დიკისა და დოლის პური, დიდაღი საქონელიც დაუკლავთ.

ნადიმი შუალამემდე გაგრძელდა. აქვე, ლაშა გიორგის დროს აშენებულ „დართის“ ეკლესიაში ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად და ბრძოლაში დაღუპულთა მოსაგონებლად, პარაკლისი გადაიხადეს.



სურ. 7. წყაროსკალოს საერთო ხედი

მეორე დღეს, 22 აპრილს გამარჯვებული ერეკლე ამალით ჭავახეთზე გავლით წალკის გზით ობილისისაკენ გაემართა. მესხე-თისა და მთელი საქართველოსათვის თავდადებული ჩა სათაყვანო, გმირი მეფე სახეიმო ვითარებაში ჭავახეთამდე გააცილეს ზრდა-ბავრის, საროსა და სხვა ქართული სოფლების მოსახლეობაშ.

ამ ნაღიმზე თუ უძლვნეს მესხებმა მეფე ერეკლეს მესხური სტრიქონები:

დაღრუბლა ცა და ქვეყანა,
სულ დედამიწა ლვარაო,
ერეკლე აწყურს ვერ დადგა
ჭავახეთს გაეჩქარაო...
კოხტა ბელადიც იქ მოკლა
შუა გაუბო თავიო,
რატომ ეომე ერეკლეს
ხომ არ გეგონა ქალიო!

ხიზაბავრელები მესხეთში განთქმული იყვნენ არა მარტო ვაჟ-კაცობით, არამედ სათნო, ლამაზი მანდილოსნებითაც. ამიტომაც იყო, რომ ხიზაბავრელი ქალის სილამაზეს ეტრფოდნენ და უმღე-როდნენ ვაჟები:

ხიზაბავრავ მშვენიერო
მესხეთის დიდ ზეგნის თვალო,
ატლასებში მორთული ხარ,
ქარათუ გადმომდგრო ქალო:
ყელ - ყური კაკაბს მიგიგაგს,
გნოლის ფერო, ტანით სარო,
შენს გულ-მკერდში ჩამიკარი
ლვთაება ხარ, ტურფა თამრო,
დაჩოქილი გევედრები,
დამანახე შენი სახე,
სიყვარულის ალით ვიწვი
გადმომხედე, დამენახე...

ხიზაბავრელი პატო

სამხრეთ საქართველოში თურქეთის ბატონობის პერიოდში სოფელ ხიზაბავრაში ცხოვრობდა ქვრივი ქალი, კატო ველიჭა-ნაშვილი-თედორაძისა. მისი ქმარი მაპმალის რჯულის უარყო-ფისათვის თურქებმა წამებით მოჰკლეს.

კატოს ორი ობოლი დარჩა — სიმოხი და აკაეკი. ზრდიდა კატო პატარებს ალალი შრომით. ოსმალოსაგან შევიწროებული სოფელი ძნელად ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს. მაშინ ხომ შიში, შიში შილი და სიღატაკე ბატონობდა სოფელში.

კატო ბუნებით ლამაზი, ოონიერი და გამბედავი ქალი ყოფილა, ჩვენამდე მოაღწია მისმა ბევრმა საგმირო ამბავმა.

ზამთრის ერთ დღეს ხერთვისის ფაშამ თავისი ორი ჩაუში ცხენებით ბზის მოსატანად გაგზავნა სოფელ ხიზაბავრაში. სოფელში შემოსული ჩაუშები გზის პირს მდგომ სახლს მიადგნენ და კარებზე მდგარ ბავშვს ოჯახის პატრონის მოყვანა უბრძანეს. ამასობაში კატომაც გამოიხდა. ჩაუშებმა კატოს უბრძანეს, მათ-თვის ორი ჭვალო ბზის მიცემა. კატომ ბავშვს უთხრა გაყოლოდა საბძელში და დოლის ბზე მიეცა, თვითონ კი სახლში შებრუნდა და ცომის მოზელა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ ოდაში ატირებული სიმონი შემოვარდა:

— „დედა, ქერის ბზე მიაქვთ, მე არ ვაძლევდი და მათრახით მცემეს“. კატომ შეიწმინდა ცომიანი ხელები, აიღო კუთხეში მიუუდებული თავისი ერთგული კომბალი, რომელსაც მუდამ კაბის ქვეშ თან ატარებდა, და საბძლისაკენ გაემართა.

შესვლისას ჩაუშებს მიმართა:

— „აყი გითხარით, დოლის ბზე წაიღეთ, ქერისა ხბოსთვისა მაქვს — მეთქი!“

ჩაუშებს მოეწონათ ლამაზი კატო და მისი ხელში ჩაგდება განიზრახეს. ერთმა კატოს ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

გაცეცხლებულმა კატომ გამოიღო კაბიდან კომბალი და ორივე ჩაუში, ცემა-ტყეპით თავპირდამტვრეული, საბძლიდან გარეთ გამოყარა. ამ ამბავმა მთელი სოფელი ფეხზე დააყენა. იცოდნენ, ხერთვისის ფაშა მეორე დღეს სოფელს ააწიოკებდა, რადგან ნაცემი და დასისხლიანებული ჩაუშები, სოფლის ჩრდინებულის თანხლებით, ხერთვისის ფაშას ეახლნენ და მოახსენეს: ხიზაბავრელმა ქალმა კინაღამ დაგვხოცაო.

გაკვირვებულ ფაშას, მართლაც, კატო მეორე დღეს ხერთვისში დაუბარებია.

კატო თავისი ორი ბავშვით ფაშას ეახლა ხერთვისის ციხეში. ფაშას ჭერ უყვირია, ქალს დამუქრებია და უთქვამს — სოფლიდან გადაგასახლებ ჩემი მოხელეების შეურაცხყოფისათვისო. ახლავე ორივეს აქ მოვიყვან და მათთან თანდასწრებით ილაპარაკე ჟველაფერი ისე, როგორც იყოო. როდესაც ჩაუშები შემოიყვანეს,

კატომ ფაშას ყველაფერი ისე მოახსენა, როგორც მოხდა. ბოლოს კაბიდან კომბალი გამოიღო და აჩვენა. „აი, ამ კომბლით ვცემე, რაღაც მათ თქვენი ბრძანება ფეხით გათელეს და ჩემი ურაცხოფაც მოინდომესო. გარდა ამისა, მოახსენა ჭილზა ფრას, ორ აბოლს ვზრდი, ერთი ძროხა მყავს იმედად და იმასაც მისპობდნენო“.

ფაშა წამოდგა, მიუახლოვდა კატოს, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: „მაშალა, გურჯის ქალო, ვაუკაცი ყოფილხარ და სწორადაც მოქცეულხარ“. დაუძახა თავის მოურავს და უბრძანა: ახლავე გამოუყვანეთ ჩემგან საჩუქრად ერთი ძროხა და გიკრძალავთ — მის კარგზე აღარატორისთვის აღარ მიხვიდეთო. ორივე ჩაუში იქვე, კატოს თვალწინ გაუმათრახებია. შემდეგ კი 15—15 დღით დაუპატიმრებია, როგორც ლაპრები, რომლებიც ერთმა ქალმა სცემა.

მეორე ამბავი კი ასე მოხდა:

მესხეთის სოფლებს შორის ხიზაბავრა განთქმული იყო ჭიდაობითაც. დიდმარხების წინა დღეს, ყველიერში, სოფლის შუაგულში, დიდ მოედანზე, თავს იყრიდნენ მოჭიდავეები როგორც მეზობელი, ასევე ახალციხის სხვა სოფლებიდანაც და იმართებოდა და დიდი ჭიდაობა...

აი, დიდ მოედანზე უკრავს ზურნა. გამოდიან ვაუკაცები. იწყება ჭიდაობა. მოედანზეა თურქი ფალავანი. მას ერკინებიან ხიზაბავრელი მოჭიდავეები. თურქმა წააქცია ერთი, მეორე, მესამე და, აპა, მოედანზე მისი წამქცევი ვაუკაცი აღარავინაა. იგი წრეს უვლის და დამცინავი ხმით იწვევს: „აბა, ხიზაბავრელო ვაუკაცებო, გურჯებო! გამოდით მოედანზე!“ ყველა შედრება. მოედანზე გასვლას ვერავინ ვერ ბედავს. თურქი ფალავანი დამცინავი ღიმილით უყურებს ირგვლივ თავმოყრილ ხალხს და ღოინჯშემოყრილი ამაყად დადის წრეში. ამ ღროს ხალხში ჩოჩქოლია, გაისმის ხმები: „ჰო!“, „არა!“, „გამიშვით!“, „არ შევარჩენ ურჯულოს ჩვენი ვაუკაცების დაჯაბნას“.

მოედანზე შემორბის ჩიხააწეული და თავწაკრული ახალგაზრდა. ხალხი გაფითორდა, სმენად იქცა უცნობი ჭაბუქის გამოჩენით. სამი წრის შემოვლის შემდეგ ახალგაზრდამ ხაზი გადაჭრა და პირდაპირ მოწინააღმდეგესთან მივიდა. მარჯვენა ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მარცხენა ზევიდან მხარზე დაჰკრა და ისე მაგრად მოუჭირა ლავიწებში, რომ ეს თურქი ფალავანი სიმწრისაგან დაბლა-დაბლა იკეცებოდა. ბოლოს სულ დაიხარა, შეიშმუ-

შნა და წელში მოხრილმა მარცხენა ხელის აწევით დაიძახა: „და-
მარცხებული ვარ, წაქცეული ვარ!“ — მოჭიდავეებმა ერთმანეთს
ხელი შეუშვეს. თურქი ფალავანი შერცხვენილი და კულამძღვ-
ებული მოედნიდან გავიდა, მოედანზე კი გამარჯვებული, ქართვე-
ლი ფალავანი დარჩა.

ხალხი აღფრთოვანებულია, აქეთ-იქიდან ისმის წამოძახი-
ლები: „ვინ არის? ვინ გვასახელა? ვაშა ჩვენს გოლიათს: სოფელი
რომ ასახელა!“ თურქე ნუ იტყვით, ეს ფალავანი ქვრივი კატო
ყოფილა, რომელსაც სოფლის შერცხვენის ბოლო წუთებში, იქვე,
ხალხში გადაეცვა კაცის ტანსაცმელი და მოედანზე გამოსულიყო
სოფლის სახელის დასაცავად.

ასე იხსნა ქვრივმა კატომ სოფელი შერცხვენისაგან.

ხიზაგაპრელი ფალავები

ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე გიორგი ხიზამბარელი
ვადმოცემით ხიზაბავრაში დაიბადა. მამამისი დავითი ხელმოკ-
ლედ ცხოვრობდა. მთასავით ვაჟკაცს უჭირდა ცოლ-შვილის შე-
ნახვა, რადგან პატარა მამული ჰქონდა. გარდა ამისა, დავითი ვე-
რასაგზით ვერ ეგუებოდა თურქ დამპყრობლებს, რომლებიც ტან-
ჯვა-წამებით სულს ხდილნენ მესხეთის მოსახლეობას. სწორედ
ეს იყო მიზეზი, რომ მესხები იქსაქსებოდნენ, სტოვებდნენ სამშო-
ბლოს და თავშესაფარს საქართველოს სხვა მოსაზღვრე რაიონებ-
ში პოულობდნენ.

ამავე გადმოცემით გიორგი სააკაძემ დავითი თავის მამულში —
ნოსტეში — დასახლა. ძალზე ძნელი იყო შშობლიურ ხიზაბავრას-
თან განშორება, ენატრებოდა ნათესავები და თანასოფლელები,
თავისი პატარა მამული და ეზო-კარი, ვენახები და ბალჩა-ბალები,
ყოველ დამე ესიზმრებოდა ხიზაბავრა, ამიტომაც იყო, რომ თავის
სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებულმა გვარი გამოიცვალა
და ხიზამბარელად დაიწერა. ასევე ხიზამბარელი გახდა მისი შვი-
ლი, ფეოდალური საქართველოს სახელგანთქმული ფალავანი გი-
ორგი. იგი დაბადებული და გაზრდილი იყო ხიზაბავრაში, შემდეგ
კი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის მზრუნველობით დავაუკაც-
და. დიდი ფიზიკური ძალისა და გოლიათური აგებულების გიორ-

გი ხიზამბარელმა თავი ისახელა თბილისის საჭიდაო ასპარეზზე.
მან არაერთხელ დაამარცხა სპარსეთისა და თურქეთის გამოჩენი-
ლი ფალავნები.

გიორგი ხიზამბარელი ქართველი ერის სიამაყე გამოცემაში გა-
ლიათი თავის სიცოცხლეში არ წაუქცევით. გარდა ამისა, გიორ-
გი შესანიშნავი იმპროვიზატორიც იყო. მან ქართული ჭიდაობა
კიდევ უფრო განავითარა და უმაღლეს საფეხურზე იყვანა, გა-
ამდიღრა ახალი ხერხებითა და ილეთებით. წინაპართა მიერ შექმ-
ნილ ილეთებსა და ხერხებს გიორგი ხიზამბარელის შთამომავლობა
დიდი საიდუმლოებით ინახავდა, მხოლოდ შვილებს ასწავლიდნენ,
ამიტომაც იყო, რომ ბუნებრივად ღონიერ და ძლიერ ვაჟკაცებს,
ხიზამბარელის მემკვიდრეებს, რომლებიც არნახულ სრულიად
ახალ ხერხებს ფლობდნენ, ვერავინ ვერ აქცევდა. ამას აღასტუ-
რებს ისტორიულ რომანში „თამარიანში“ აღწერილი:

„ქართლმა კახეთს საჭიდაოდ წარუდგინა თვისი ლომი,
უზარმაზარ ხიზამბარელს აქნევინა წინ ნახტომი,
კახელებმა ბებურიშვილს გარდუწყვიტეს მასთან ომი,
გაიმართა ჭიდაობა, მეც იქ ვიყავ ცხენზე მჯდომი.

ვით ქამეჩნი, ერთმანეთსა დაეტაკნენ, დაერივნენ,
იბლუნეს და მიწა სთელეს, დაილურჯნენ, არ ეტკინენ,
ბეჭთა მათთა ნაცემარი ორთავ სისხლი დაედინენ,
ვერცა ერთმა ვერა სძლია, გაგულისდნენ მოეწყინენ,

მან ქართლელმა ბებურიშვილს, დაუგრგვინა, დაუჭიერა,
უყო ხერხი მოგვერდული, ბეჭი მცერდსა შეაჭახა,
ვითა ბოძი ჩარჭობილი, ვერც კი შესძრა, შეაფერხა,
მაგრამ ძალის დატანებით, კახელს მკლავი მოატეხა“¹²...

მრავალი შესანიშნავი მოჭიდავე გაიზარდა ხიზამბარელთა
გვარში, რომელთაგანაც გიორგის მეორე შტო ბოსტედან ჭერ ჩი-
ჩეთში გადასახლებულა, აქედან თბილისთან, ტაბახმელაში გადმო-
სახლებულა, სადაც დღეს ექვსი კომლია, რომლებიც სიამაყით
იხსენებენ თავიანთ წინაპარს მოჭიდავე ზაქარას სახელით.

ხიზამბარელთა გოლიათურმა შთამომავალმა მეცხრამეტე საუ-
კუნის მეორე ნახევრამდე მოაღწია, ერთ-ერთი მათგანი იყო
ძველი თბილისის უძლიერესი ფალავანი დათა ხიზამბარელი, რო-

12 სიმონ გუგუნავა, თამარიანი, 1957, გვ. 51.

მელსაც მრავალი სახელგანთქმული მოჭიდავე დაუმარცხებია, თითონ კი არასოდეს არ წაქცეულა.

აი რას წერს ამ უბადლო ფალავნის შესახებ ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე გაზეთ „დროების“ 1867 წლის 1 სექტემბრის ნომერში: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებათ არის ნაქცევი. თითო ისეთს მოჭიდავეს ნახავთ, რომ სულ საოცრებიდან გამოგიყვანთ, მე ამ დღეობებში ვნახე სხვათა შორის ერთი თვრამეტ — ცხრამეტი წლის ბიჭი, მოჭიდავე, არ შეგიძლიან წარმოიდგინოთ მისი სისწრაფე ჭიდაობაში, რამდენნაირი ხერხი და ისტატობა არა აქვს გამზადებული თავის მოწინააღმდეგის წასაჭცევათა. რამდენჯერ დაიყრეს ის თავისმა მოწინააღმდეგებმა ხელში და ყველას გვეგონა. ეს არის წააქციესო, და ის გველიგით გამოუძვრებოდა ხოლმე ხელიდამა და ლაჭებიდამა, და რამდენიც კი წააქცია ამ ყმაშვილმა ბიჭმა, იმდენი სულ ყირამალა გაღაატრიალა. ერთის სიტყვით ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავთ, აღვილად შეუძლიან წარმოიდგინოს სადამდინ განვითარებულა ჩვენში ჭიდაობა“.

ასევე კეთილად იხსენიებს სახელმოხვეჭილ ფალავანს ხიზამბარელსა და მის მეგობარ მოჭიდავეს გაზეთი „ივერია“ (1888 წ., № 113) ეს ორი ფალავანი „უსასყიდლოდ აცქერინებდენ სეირს ღარიბებს, მდაბიო ხალხს და მხოლოდ მდიდრის საჩუქარსა სჯერდებოდნენ. ამ ფალავნებს ის სანაქებო ზნეცა ჰქონდათ, რომ თუ არ განთქმულ მოჭიდავეს, ნაყარ-ნუყარს არ დაეჭიდებოდნენ. ეხლა ასე აღარ არის!“.

გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის 169 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „გლდანელი და ესებუა“ ვინმე „ძველი მოჭიდავე“ სახალხო გმირსაც კი უწოდებს ამ განუმეორებელ ფალავანს.

„საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზაბავრელსავით კი სახელი არავის გაუთქვამს. ის, თითქმის, სახალხო გმირად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო, ჯმუხი, მოქლე ხელ-მკლავებიანი, ცოტათი მოხრილი და დაოვურად ნაკვეთი. ტანზე, საღაც უნდა მოგევლოთ ხელი, იტყოდით თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორციო. გამოდიოდა სათემოდ, დადიოდა დღეობებზე და ვინც გამოითხოვდა, მზად იყო შეპბმოდა. თან ახლდა ხოლმე ერთი ან ორი ამხანაგი მეტივეთაგანი, რომ ვინიცობაა მარცხი რამ მოსვლოდა ჭიდაობაში, იმათ ეპატრონებიათ და სხვა ქომაგი და დამხმარე არავინ ჰყავდა და არც ეძებდა. ჭიდაობაში

ფულს არ იღებდა, „დღეობაში ხალხი რითაც შეგიძლიან, უნდა შეაქციო და თვალის სეირი უჩვენოო“, იტყოდა ხოლმე, მაგრამ დიდაცების საჩუქარს კი არა სწუნობდა. ძალიან სათნო ქაცი იყო და სულგრძელი მოჭიდავე. სანამ ერთს ხელადა ღვინოს არ გადა-ჰკრავდა, ისე საჭიდაოდ არ გავიდოდა. სახელგანთქმულსა და თაგა-გასულს არა ჰზოგავდა. ზეზე კისრული იცოდა და რაღაი კი წა-მოიკიდებდა, იტყოდა ხოლმე, ახლა თუ გინდათ ხარ-კამეჩებიც მოუბით, ვეღარ შეიმაგრებთ, გადავიტანო და მართლაც, ბევრჯერ დაბრაუჭებინა ზურგზე წამოკიდებულს მოჭიდავეს ქომაგები, რომ შეემაგრებინათ და ვეღარ გადაეტანა ხიზაბავრელს, მაგრამ ამაოდ, ვერა გაუწყვიათ-რა.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ქომაგიც კისრულზე გადა-დიოდა ერთად მის ფალავანთან. ახალგაზრდა მოჭიდავეს, თუ შე-ატყობდა ხეირს, განგებ დიდხანს ათამაშებდა ხოლმე, თითქოს უნ-და გაათამაშას და ასწავლოს ხერხებიონ. ერთი ახალგაზრდა კახე-ლი ეჭიდებოდა ერთხელ, მაგრამ ტახივით გამოვარდნილი ხიზაბავ-რელი რომ დაინახა, შეშინდა და დაწვა... აღარ გეჭიდებიო!.. „შე ლაჩარო! ვინ ქართველი და ვინ შიშიო მიაძახა: ადე, დამეჭიდე, თორემ მოგვლავო!.. წამოაყენა და შეიბნენ. დიღხანს იჭიდავეს. ახალგაზრდას გული მოეცა, ორჯერ მოუნდომა კისრული ხიზაბავ-რელს, მაგრამ ვერ გადაიტანა. ბოლოს დაიძახა ხიზაბავრელმა, „გაგვაშველეთო“ და გააშველეს. „კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდვაა შენი გალახვაო“, წასჩურჩულა ხიზაბავრელმა და გადაკოცნა.

ერთხელ თათარი ჩამოვიდა. საოცრება რამ იყო, მარილის ქვებს იდებდა ხელებზე და ბურთივით ათამაშებდა. ქალაქის დიდ-კაცობა შეაწუხა: ან დამჭიდეთ ვინმე და ან საჩუქრით გამისტუმ-რეთ ჩემი ქვეყნისაკენო. თავადიშვილებმა ჩამოაყვანინეს ხიზაბავ-რელი. თათარმა შეხედა და გაიცინა: აითვალწუნა და უთხრა: „ილო ძე გურჯონ!“ ხიზაბავრელს გული მოუვიდა, ეძერა, მოიგდო ზურგზე და რუმბივით გადააგორა. „ეს როგორ იქნებაო? განა ეს ჭიდაობა არის. „მე მხოლოდ მივესალმე და სალამი არ გამეთავე-ბინა, ისე მეძეგერაო!“ დასჭიდეს მეორეთ. მეორეთაც როცა დაიკ-რიფა ეს გოლიათი, დავითი მოუბრუნდა თავადებსა და მოახსენა: ბატონებო, ჰკითხეთ ამ ვაჟკაცს, სალამი გაათავა თუ არაო? თათარს პირი გაუშავდა და ხმა ვეღარ ამოიღო. „აბა ახლა კი დროა და-ვაფიცო ჩვენს მიწაზეო“, და დაახეთქა საოცრად. საჩუქარი კი, რაც მიიღო, შუა გაუყო დამარცხებულს.

ერთხელ კიდევ ერევნელი დაეჭიდა და გავიდა თუ არა, მუშ-
ტი გაარტყა თავ-პირში ხიზაბავრელს, რომ დაერეტიანებინა;
სარმაც თანვე გამოჰქირა. ხიზაბავრელი ტყვილადაც არ შერყოფილი
ლა: „ბიჭო, კრიიში ხმო არ გავსულვართ, რომ იცემებიო?“ მოი-
დო ზურგზე, წაიღო ქვებთან მხარზე გადებული და უთხრა: „აბა,
ახლა კი უნდა დაგასრისო ამ ქვებზეო“. მაგრამ დახეთ იმის სულ-
გრძელობას, განზე დააგდო გულშემოყრილი მეტოქე და თავის
ამხანაგს მეტივეს დაუძისა: „გოგიტო! ერთი თავზე წყალი დაასხი,
მოაბრუნეო“ — ამგვარი ბევრი რამ გადახდა ხიზაბავრელს და
იმიტომაც გაითქვა სახელი სათემოდ. ერთხელ ხმა გამოვიდა, რომ
ათოლა გლდანელს გაულახავსო. ხალხი ძალიან გაჰკვირდა და
არ იცოდა რა ეფიქრა. არა სჯეროდა, და მართლაც, რომ ტყუილი
იყო.

მე თვითონ დამსწრე ვარ იმ ჭიდაობისა. ათოლამ სარმა გა-
მოჰქირა მოულოდნელად ხიზაბავრელს და დააჩოქა. მაშინ ხიზა-
ბავრელმა მოიდგა ზურგზე და შენს მტერს ის იმას დღეს დააყე-
ნებდა, რომ მომხრეები არ გამოსხენოდა. გედეონიშვილები მის-
ცვივდნენ და რომ ვეღარ გამოვლიჩეს ხელიდან ათოლა, ცემა და-
უწყეს ხიზაბავრელს, ძალიან დაუეუჯეს კეტებით. გალახული ხიზა-
ბავრელი წავიდა გრიგოლ ორბელიანთან და სთხოვა: გალახვაშ
თქვენი ჭირი წაიღოს, იმას არ ვჩივი, მაგრამ სახელის გატეხვა
უსამართლოდ მიმდიმსო და ათოლა დამაჭიდეთ, რომ დავანახვო
ქვეყანას, რა ფალავანიც არისო.

მთაწმინდაზე გამართეს ჭიდაობა. დიდალი ხალხი მოაწყდა.
გრიგოლ ორბელიანიც დაესწრო. გულმისული ხიზაბავრელი მარ-
თლაც რომ საუცხოვო სანახავი იყო: განთქმულ ათოლას აღარა
გაუვიდა რა საერო გმირთან და მოიღრიკა ქედი ხიზაბავრელის
ჭინა“.

ასეთი ძლიერი და სახელოვანი მოჭიდავე იყო ძველი თბი-
ლისის პირველი ფალავანი, სათნო და რაინდი ვაჟქაცი დავით ხი-
ზამბარელი.

სოცელის მიურნეობა და შინაგრეველობა

ხიზაბავრა ოდითგანვე ერთ-ერთი მოწინავე სოცელი იყო
მესხეთში.

ხიზაბავრელთა მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობა იყო. აპყრიღნენ ხიზაბავრელ კაცს მამა-პაპათა ნაფუძარიდან, გადასახლებდნენ და აუჩეხავდნენ ვენახს... მერე, როდესაც უამიჯანობა ცოტათი მინელდებოდა, კვლავ უბრუნდებოდა მამაპაპურ კერას, აღადგენდა ნავენახარს, მოძებნიდა უპატრონოდ მიტოვებულ ძევლ მარანს, საწნახელსა და ქვევრს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვაზის ათი ჭიში იყო შემორჩენილი ხიზაბავრაში. ამის შესახებ ივანე გვარამაძე „დროებაში“ წერდა:

„ამას წინათ ბ. ა. ბერიძე იყო ფილოქსერის თაობაზე მოსული, თან ჰქონდა ნახატები ქალალდებზედა; ჩავიდა ვენახებში და ეძია შემხმარი ვაზები, მაგრამ ვერსად ვერ ნახა, იკითხა:

რამდენი რიგი (ჭიში) ყურძნენიც იყო გაშენებული ხიზაბავრის ვენახებში და ათიოდე გვარისა მოუთვალეს:

ანდრიული, ვეუანა, კლერტ-მაგარი, ცვრივი, ბუდეშური, თითა, ცხენისძუძუ, ხარისთვალა, საფერავი, ანიჭული“¹³.

ხიზაბავრაში ღვინოც საუკეთესო დგებოდა. იგივე ივანე გვარამაძე წერს:


„ეს სოფელი (ხიზაბავრა) ამით არის შესანიშნავი, რომ სამესხეთოს ყოველი გარეგანი და შინაგანი სიძველის სახელი და ვეღრება სრულ თავსში შეურყევლად შეუნახავს დღემდე: ამის მეტ არც ერთ ადგილას არ დაცულა არც ვენახი, არც ზნეობა და სუფრული გალობებიც.“

ჩემს მასპინძელს შვილის ნიშნობა ჰქონდა. პირველი კაცი და ლხინი ღმერთს ერთად გაუჩენია: გაშალეს სუფრა და შევექეცით ტკბილ ნუნუას. მე არ მეგონა ხიზაბავრული ღვინის ქება, მაგრამ რომ ვნახე გამოცდილებით სწორედ საქებური ყოფილა, ძალით კახურს არ ჩამოუვარდება და გემოთი იმერულ ღვინის ბევრად სჭობია; ნაკლებობა ესა აქვს, რომ ღვინის დაყენების ხელი კარგად არ სცოდნიათ.

ხიზაბავრული ღვინის ქება ლექსშიაც უთქვამს ხალხს:

ხიზაბავრა ქარიანი,
დარნები აქვს კარიანი,

¹³ „დროება“, 1880, № 234, გვ. 1.



სურ. 8. ზეთის სახდელი ქარხნის სალეჭი ქვა



წრ მინდორი და უკან ტყვ
ღვინო იცის გვარიანი!“¹⁴.

სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი კარტოფილის კულტურა იყო. თავის დროზე თითქმის მთელ ჯავახეთს კარტოფილით ხიზაბავრა ამარავებდა.

ხიზაბავრაში ფართოდ იყო განვითარებული შინამრეწველობაც. სოფელში ჰქონდათ ზეთის სახლელი ქარხანა, შალის საქსოვი დაზები, თავლორი ურმისა და საბაროს გასაკეთებელი სახელოსნები. იცოდნენ აგრეთვე ხის გუთნის, ჭილის, კავის, ოროლის, კევრის, ულოისა და ურმის თვლების გაკეთება. მატყლისაგან ქსოვდნენ ჩოვალებს (ტომრებს), წამოსასხამებს, ჯეგიმებს, ხალი-ჩებს, ხურჯინებს. ტყავისაგან გუთნის ცხრა უღელი ხარ-კამეჩისა-თვის წნავდნენ 10—15 მეტრის სიგრძის ოთხმოცწვერა ღვედს (ჯაჭვის მაგიერს), ამზადებდნენ ასაკრავებს, საზამთრო ქურქებს, ქუდებს, ქამრებს, გუდებს, უნაგიორებს, კურტნებს და სხვ.

ხიზაბავრელები განთქმული მებაღურებიც იყვნენ. ისინი მტკვრის თევზით ახლო-მახლო სოფლებსაც ამარავებდნენ და საქართველოს სხვა კუთხეებშიც გაპერნდათ. ზაფხულში თევზს იჭერდნენ ბადით, ბატარ-ბატარა ტოტების დაწყვეტით, გადაგდებით, ზამთარში კი ნავტიკებით, ყინულის მოჭრით, ოჩხით. თევზი ქართლსა და იმერეთში „ოჩხულის“, „ფიჩხულის“ და „ცოცხალის“ სახელით გაპერნდათ.

ხიზაბავრის სტოლა¹⁵

1831 წელს ახალციხეში სამაზრო-საერო ქართული სასწავლებელი გაიხსნა, ხოლო 50 წლის შემდეგ 1881 წლის 21 ნოემბერს სკოლა ხიზაბავრაშიც გაიხსნა.

ხიზაბავრის სკოლის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის ივანე გვარამაძეს. მას წერილი მიუწერია ილია ჭავჭავაძისათვის და უთხოვია სკოლის გახსნაში დახმარება. ილიას ივანე გვარამაძისა-თვის დახმარება აღთქვავას ფულით, სასწავლო ნივთებით, სპეციალისტებით და სხვა, რაც მაღლ საქმედ უქცევია.

ხიზაბავრაში სკოლის გახსნასთან დაკავშირებით გაზეთი-

14. „დროება“, 1880 № 48, გვ. 1.

15. ცის კარაძე — უურნალი „სკოლა და ცხოვრება“, № 5, 1971 წ.

„დროება“ წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახალციხის კარგა
შოშორებით, მესხეთისკენ სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარუმაძე¹⁶ გაუმართავს სკოლა, რომელშიდაც სწავლას დაიწყებენ ამ შემოღოთისა
გომაზე. ამ სოფელს ხიზაბავრაში სულ ქართველი კათოლიკები სახ-
ლობენ, სკოლის მასწავლებლად ამოურჩევიათ გორის სამასწავ-
ლებლო სემინარიაში სწავლა შესრულებული ყმაწვილი“¹⁶.

ხიზაბავრის სკოლა ორკლასიანი საეკლესიო სასწავლებელი
იყო, სადაც სწავლება სეზონურად, მხოლოდ ზამთრის თვეებში,
ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. იწყებოდა სასო-
ფლო-სამეურნეო საქმიანობის დამთავრების შემდეგ და გრძელ-
დებოდა გაზაფხულის სამუშაოების დაწყებამდე. ასწავლიდნენ ან-
გარიშს, დედაენას, ხელსაჭრეს, რუსულ ენას და საღმრთო რეულს.
ამ სკოლაში სხვადასხვა დროს მისწავლებლად იყვნენ ივანე გვარა-
მაძე, თომა პაპაშვილი, კოსტა გვარამაძე, გიორგი გეგიძე, ლაზა-
რე ნათენაძე, გიორგი რაზმაძე, ალექსანდრე წითლანაძე, მიხეილ
ვარძიელი, პავლე მესხი, ალექსანდრე ხუციშვილი, ტერეზა და
კოსტა შეშაბერიძეები და სხვები.

პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები მოსწავლეებს წიგნის,
ცოდნისა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდნენ.

ხიზაბავრის სკოლა დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გა-
დააკეთეს ოთხელასიან სკოლად, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლე-
ბის გამარჯვებამდე იარსება.

ის მოსწავლეები, რომლებსაც ამ სკოლაში უსწავლიათ, დიდი
პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ პედაგოგებს გრიგოლ
გეგიძეს, ეფრემ ველიგანაშვილს, ალექსანდრე ხუციშვილს და სხვ.
ეს უკანასკნელი დიდად განსწავლული, პატრიოტი და პროგრე-
სული პიროვნება ყოფილა. 900-იან წლებში რევოლუციური მოძ-
რაობის იდეები სოფელ ხიზაბავრასა და ახლო-მახლო სოფლებში
მას გაუგრცელებია. მისი თაოსნობით ხშირად იმართებოდა გაფიც-
ვები, მიტინგები, სადაც წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვებს ამთავ-
რებდა რევოლუციური მოწოდებით — „ძირს მეფე“, „გაუმარჯოს
ერთობას!“, „გაუმარჯოს რევოლუციას!“.

ა. ხუციშვილს კავშირი ჰქონია გორში რევოლუციურ წრეს-
თან, რომელიც გაბედულად და აშკარად იბრძოდა თვითმპყრობე-
ლობის რეუიმის წინააღმდეგ.

900-იან წლებში ხიზაბავრაში უმუშავია რუსული ენის მასწავ-

¹⁶ „დროება“, 1881, № 189, გვ. 2—3.

ლებელს სანაკოევს, რომელიც მეფის რეუიმის ერთგული მოხელე ყოფილა. ხუციშვილის გუფს ისე მოუწყვია საქმე, რომ სანაზოები სოფლიდან გაუძევებიათ.

სკოლა თავდაპირველად მოთავსებული ყოფილა იოსებ ველი-ჯანაშვილის მიწურ სახლში. 1890 წელს მოსახლეობას შეუგროვებია თანხა და სოფლის მცხოვრებ სტეფანე დათაშვილისაგან შეუსყიდია ადგილი სასკოლო შენობისათვის. აქ 1893 წელს აუშენებიათ პატარა შენობა, რომელიც ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. 1880—1904 წლებში მასწავლებლად უმუშავია მიხეილ ვარძიელს, მისი ინიციატივით სოფლის შუაგულში, აღრინდელი შენობის მახლობლად, 1904 წელს აუგიათ დამატებითი სასკოლო შენობა იმავე ფართობით, ე. ი. ოთხი ოთახის რაოდენობრივი. ამ პერიოდში უკვე 8 ოთახამდე გაზრდილი შენობა საგებით აქმაყოფილებდა მოთხოვნილებას (აქ სწავლობდა სოფელ ვარგავისა და საროს ახალგაზრდობაც).

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ხიზაბავრაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც 1925 წელს შვიდწლედად გადაკეთდა. 1935 წელს იგი საშუალო სკოლად გადაიკეთეს, რომლის პირველი გამოშვებაც 1938 წელს შედგა. 1930 წელს სკოლაში ინტერნატი მოაწყვეს, რომელშიც ჩაურიცხავთ როგორც ადგილობრივი, ისე სხვა სოფლების ხელმოკლეთა შვილები. ინტერნატის არსებობა 1941 წელს შეწყდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან აქ მასწავლებლად მუშაობდნენ ვლასი ქურიძე, გიორგი ლევდარიანი, ივლიანე კვაჭაძე, ბათლომე თოფურია, ვალიკო ნაცვლიშვილი, ლონგინოზ ნიუარაძე, მიხეილ ველიგანაშვილი, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ვანო მელაძე და სხვები. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სკოლაში ბავშვების მოსაზიდავად და სწავლა-აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად.

ყოველწლიურად იზრდებოდა მოსწავლეთა რიცვი და ადგილობრივი პედაგოგების რაოდენობა, უმჯობესდებოდა ცალკეული დისციპლინების სწავლების ხარისხი. თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სოფელში 20—30 მოსწავლე და 2—3 მასწავლებელი იყო (ისიც მოწვეული), დღეს 350-მდე მოსწავლეა, რომელთა სწავლა-აღზრდას 30 ხიზაბავრელი მასწავლებელი ემსახურება. თუ პატარა ბავშვებს დაქირავებული მიწური სახლის სახონეზე (ბოსელში) ფეხმორთხმულთ მუხლის თაგზე ედოთ ფიცრის ნა-

ტეხი, რომელიც ქაღალდის მაგივრობას უწევდა, და ზედ გამოჰყავდათ ქართული ასოები, ახლა მათი შეიღილები ხალისიანაფილი სწავლობენ სხვა ბავშვებთან ერთად ხიზაბავრის ორსახოთულო ანი ტიპიური სკოლის შენობაში. სკოლა ელექტრიფიცირებულია, აქვს კარგად აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კაბინეტები, მდიდარი ბიბლიოთეკა.

დღეს ხიზაბავრის 50-ზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე კაცი ცხოვრობს. მრავალი მათგანი ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მოღვაწეობს.

ხიზაბავრის სკოლაში აღზრდილი თაობები დღეს ჩვენი დიალი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის აქტიურად იღწვიან.

ხიზაბავრა შენაერთების ბატონობის ამინისტრი¹⁷

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგები ყველაზე მძიმე და აურაცხელი მსხვერპლის მომტანი იყო საქართველოსათვის, კერძოდ, მესხეთისათვის. მსოფლიო ომის დასაწყისშივე შეიქმნა კავკასიის ფრონტი, სადაც უმეტესად კავკასიის ხალხები იბრძოდნენ. სამცხე-ჭავახეთის მრავალმა სახელოვანმა მამული-შვილმა შესწირა ამ ბრძოლას თავი.

ქართველმა მენშევიკებმა მეფის რეუიმის დამხობის დღიდან მმართველობის ძველი ფორმები უცვლელი დატოვეს, საგარეო პოლიტიკაში კი ავანტიურას დაადგნენ.

ამიერკავკასიის სეიმს არ აღმოაჩნდა რეალური ძალა ქვეყნის დასაცავად. მენშევიკების უბადრუქმა პოლიტიკამ ქართველები ახალ ომში გახვია. ომის ასპარეზი მესხეთ-ჭავახეთი გახდა. ინგრეოდა და ნადგურდებოდა ძველი დიდების უტყუარი ძეგლები საუკუნეების მანძილზე სისხლით, ოფლითა და ცრემლით მოპოვებული. დამპყრობლებს უნდოდათ ტაშისკარის ზემოთა ტერიტორიები კვლავ მათი ყოფილიყო. „თურქეთის არმიის მთავარსარდალმა ვეხიბ-ფაშამ, — იგონებს ამ ბრძოლის მონაწილე ხიზაბავრელი იოსებ ველიქანაშვილი, — დაავალა ახალციხის სარვან ბეგს, რომ ადგილობრივი მაჭმადიანი მოსახლეობისაგან შეექმნა მოხალისეთა ბანდები ქართველების მოსახლეობად. ამ შავბნელ

17 პ. პაპაშვილი, გაზეთი „ასპინძა“, მარტი, 1967.

დღეთა გახსენებაზე ახლაც ურუანტელი მივლის ტანში... ურუანტელობს არა მარტო ჩვენი კუთხის, არამედ მთლიანი საქართველოს ჩაყლაპვის მადაც ჰქონდათ. კავკასიის ფრონტიდან ის იყო დავბრუნდი, რომ თურქებმა აწყურთან ჩაკეტეს გზა, 1918 წლის იანვრიდან მესხეთ-ჯავახეთი საქართველოს მოწყვიტეს“.

ახალციხის ქემალ-ფაშამ ახალციხის, აღიგენისა და ასპინძის მაჭადიანი მოსახლეობისაგან შეაღგინა მოხალისეთა შვიდიათასიანი ბანდა, რომელსაც შეუერთეს თურქ-ოსმალთა რეგულარული არმიის რამდენიმე ათასეული და დასძრეს ჯავახეთისაკენ. ისინი წრთვნას ასპინძასა და ხერთვისში გადიოდნდენ.

არც აღგილობრივი ქართველები იყვნენ უმოქმედოდ. ყველა ხედავდა, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი ახლა წყდებოდა. 1918 წლის დასაწყისიდან ხიზაბავრაში ალექსანდრე სიმონისძე ხუცი-შვილის თაოსნობით ბაკურიანიდან გაღმოიტანეს 600 შაშხანა, 4 ტყვიამფრქვევი („მაქსიმა“), ერთი ზარბაზანი — „სტაროგობრაზცა“ და აურაცხელი ტყვიაწამალი. ამას დაუმატეს კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულთა შაშხანები და დაცვის საქმეს სამხედრო ორგანიზაცია მისცეს. „ვისარგებლეთ თათრების წრთვნით, — იგონებს ხიზაბავრელი სიმონ იაკობის ძე ველიჯანაშვილი — და ჩვენც შევქმენით მოხალისეთა ათასეული. 56 კაცი საროდან მოგვეშველა, 10 — ვარგავიდან, 7 — თოკიდან და 125 — ჯავახეთის სხეადასხვა სოფლიდან“.

ათასეული დაიყო ასეულებად, ოცეულებად და ათეულებად. თითოეულ ქვედანაყოფს არმიიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დაუნიშნეს მეთაურებად.

პირველ ასეულს ხელმძღვანელობდა პავლე სიმონის ძე ლეკიშვილი, მეორეს — გასილ სტეფანეს ძე ფილიშვილი, მესამეს — ბაგრატ ყრუაშვილი, მეოთხეს — ამბროსი ველიჯანაშვილი. ამ უკანასკნელის მეზარბაზნედ გადაყვანის გამო ასეულს მიხეილ ხუციშვილი ჩაუდგა სათავეში. ტყვიამფრქვევები ასეულებზე იყო მიმაგრებული, ხოლო ქვემეხს საერთო ხელმძღვანელი ეფრემ ველიჯანაშვილი მართავდა.

ყოველ ასეულს თავიათი უბანი მიუჩინეს. პირველი ასეული განლაგებული იყო გორაბანზე და იცავდა ასპინძიდან ახალქალა-ქისა და ხიზაბავრისაკენ მიმავალ გზას. ამასთან კონტროლს უწევდა ჩიხორიშის ხევს. მეორე ასეული დაბანაკდა რუსხმულში. ისინი დარაჯობდნენ ასპინძიდან დამალაზე გავლით ჯავახეთისაკენ მი-

შავალ გზას, ხოლო მესამე და მეოთხე ასეულები იცავდნენ ორმო-
ციდან ხერთვისსა და შვიდრავანტიდან მიმავალ გზებს. ქვემები
დაღგმული იყო ჯერ სახიზრის თავზე, შემდეგ კი ხიზაბავას და
სავლეთით.

ათასეულის სული და გული ეფრემ ველიგანაშვილი იყო. იგი
ითვლებოდა მის ოფიციალურ უფროსადაც, რომელმაც, მართლაც,
რკინისებური დისციპლინა დამყარა დანაყოფებში. ეფრემი უნერ-
გავდა მებრძოლებს თავგანწირების, სიმხნევისა და სიმამაცის
გრძნობებს. ბევრჯერ ბრძოლაში შეფერხებულ ათასეულს პირადი
მაგალითით ამხნევებდა და იერიშზე მიჰყავდა. იმ დროისა და პი-
რობების კვალობაზე საკმაოდ განვითარებული კაცი იყო. უყვარდა
და კარგად იცოდა ქართველი ერის ისტორია. თავისი მჭერმეტყვე-
ლების წყალობით მას ასეულების ხელმძღვანელობა და გაყოლიება
შეეძლო: „სწორედ ამიტომ იყო, — იგონებს ბაგრატ ბაბაშვილი, —
რომ, როცა თურქებმა შემოტევა დაგვიწყეს, სამი თვის განმავლო-
ბაში მარტო ჩვენი ათასეული უმკლავდებოდა აურაცხელ მტერს“.

ათასეული იცავდა არა მარტო ხიზაბავრას, საროს, ვარგავსა
და თოკს, არამედ მთელ ჯავახეთსაც, რადგან იგი ჰკეტავდა, კონ-
ტროლს უწევდა და იცავდა ჯავახეთისაკენ მიმავალ ყველა გზას.
თურქ მოთარეშეებს შიმის ზარი დასცეს გმირმა მეზარბაზნეებმა,
რომლებიც იანვრის დასაწყისიდან თებერვლის ბოლომდე განუწ-
ყვეტლივ ურტყამდნენ ასპინძასა და ხერთვისს. 28 თებერვალს
ზარბაზნმა ავარია განიცადა, რამაც ამბროსი ველიგანაშვილი და
პეტრე მურადაშვილი იმსხვერპლა, ხოლო რამდენიმე მძიმედ და-
შავდა და დასახიჩრდა.

პპრილის ბოლოს მოახერხეს დახმარება გაეწიათ გმირი ათა-
სეულისათვის. როგორც იყო გამოგზავნეს ბატარეია კაპიტან ალექ-
სიძის მეთაურობით. იყო ქვეითი და ცხენოსანი ნაწილებიც. ალექ-
სიძის ორი ზარბაზნი ხიზაბავრაში გორბანის პლატოზე დად-
გეს, ხოლო ორი — დამალაში.

ალექსიძის ნაწილები გმირულად ეკვეთნენ მტერს ასპინძას-
თან და სასტიკად გაანადგურეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ხი-
ზაბავრის ათასეულიც, რომელმაც დაპკარგეს 67, დაიჭრა 85 კაცი.

ასპინძასთან გამარჯვების სიხარული დიდხანს არ გაგრძელე-
ბულა. მენშევიურმა მთავრობამ დამხმარე ნაწილები ჯერ ვარევან-
ში გადაიყვანა, შემდეგ — ბაკურიანში. ამგვარად, ისევ ხიზაბავ-
რა — საროს ათასეული დარჩა მტრის პირისპირ.

თათრებს რომ დამალიდან არ შემოევლოთ და ზურგში არ და-
ერტყათ ათასეულისათვის, მეორე ასეულს კვლავ რუსხმული ჩა-
აბარეს და სოფელ ვარევნის ქართველებითა და სომხებით გააძლი-
ერეს. „აქ მარტო ხიზაბავრელები და ვარევნელი ქართველი და
სომხები იბრძვიან“ (ალ. ჭუთათელი, „პირისპირ“, 1966, გვ. 275).

როგორც ახალქალაქის ბრძოლის მონაწილე სტეფანე ხუცი-
შვილი გადმოგვცემს, მენშევიკური მთავრობის იმედი აღარ ჰქონ-
დათ. მას თვითონ უჭირდა. სხვა გზა არ იყო. მესამე ასეული მი-
ხეილ ხუციშვილის მეთაურობით ახალქალაქის დასახმარებლად
გაიგზავნა. 1918 წლის 15—20 მაისს ახალქალაქი აიღეს.

1919 წლის გაზაფხულიდან თურქთა ბანდები უფრო გააქტი-
ურდნენ და გაახშირეს თავდასხმები სარო-ხიზაბავრაზე. შეტევა ხერ-
თვისიდან დაიწყეს. მტერს შვიდი ათასზე მეტი ავაზაკისთვის მოე-
ყარა თავი. მათ სარო-ხიზაბავრის გზები დაიკავეს, წერაკუნტასა და
სანიორას მთაზე გათხარეს სანგრები და სროლა დაუწყეს. გაიმარ-
თა უთანასწორო ბრძოლა. ცეცხლის რკალი თანდათან ვიწროვდე-
ბოდა და მალე ათასეული ფარ-ხმალს დაყრიდა, რომ ოფიცერ
კობესანიძესა (ზოგის თქმით ზაუტაშვილს) და ე. ველიჩანაშვილს
არ მიემართათ მათთვის პატრიოტული სიტყვით. ათასეული ხელ-
ჩართულ ბრძოლაზე გადავიდა. მტრის სანგრებამდე 100 მეტრიდა
იყო დარჩენილი, რომ ზაუტაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა (იგი
სასწრაფოდ გაიყვანეს და... ბაკურიანში გადასვენეს).

შეტევის წარმატებით დამთავრებას დიდად შეუწყო ხელი სო-
ფელ ჩუნჩხელთა დახმარებამ. მათ ჩუნჩხის პლატოდან პირდაპირ
ზურგში დაარტყეს და არევ-დარევა შეიტანეს მტერში. ორ ცეცხ-
ლშუა მოქცეული ურდო გაიქცა. ამ ბრძოლის მონაწილეთა გად-
მოცემით, თათრებმა აქ დაკარგეს 2500-ზე მეტი მეომარი, ბევრიც
ტყვედ ჩავარდა.

ჯავახეთის მოსახლეობის ნახევარი გაიხიზნა.

აღსანიშნავია, რომ მტერთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებ-
დნენ ქალები და მოხუცები. ისინი ხიზაბავრიდან ტყვია-წამალს
ეზიდებოდნენ ვარანტის ხევამდე, აქედან კი დაჭრილები გაპყაფ-
დათ და უვლიდნენ. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აღარა-
ვის ახსოვდა საკუთარი მწუხარება. „ის იყო მე და ბაგრატ თენო-
შვილი თურქეთის ფრონტიდან დავბრუნდით, რომ სოფელი ცეცხ-
ლის ალში დაგვხვდა გასვეული — ამბობს ბაღდო ბაღდოშვილი.
აქაც ერთად ვიბრძოდით. ჯერ შეტევაზე არ გადავსულიყავით, რომ

ამხანაგი „ჩამხობელასთან“ მომიკლეს. მკვდართან შამამ მოიპოვნა, შვილს დაემხო, ერთი აქვითინდა, უცბად აიტაცა შვილის „შეუძლებელი ხანა და ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვა“. მარჯვიდან სტრატეგია და საროს მღვდელი თუთბერიძე „მაქსიმეს“ ტყვიამფრქვევით.

მტერი განადგურდა, მაგრამ არა საბოლოოდ. დახმარების იმედი ი არსაიდან იყო. დამარცხების შემდეგ თათრებმა დიდხანს ვეღუარ შეძლეს ბრძოლის განახლება. ხიზაბავრა-საროელებსაც უნდა ეზრუნათ გახიზვნაზე, თუ არა ტყვედ ჩავარდებოდნენ.

ივნისის დასაწყისში, გახიზვნამდე, ათასეულის შტაბმა ხერთვისში მცხოვრებ თამილ-ბეგის შუამავლობით თათრებს ტყვეები გაუცვალა. მათი რიცხვი 800 სულამდე აღწევდა.

ტყვეებში ბევრი სომეხი იყო. მეტად შესაბრალისნი იყვნენ ქალები და ქალიშვილები... თათრებს ყოველგვარი მხეცობისათვის გადაეჭირებინათ. სომხები ხიზაბავრის ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდათ დასაბურებლად და მოსალონიერებლად. ამასთან ნება დაერთოთ ეშველათ თავიანთი თავისათვის...

ივნისში მოსახლეობამ დატოვა ოფლით, სისხლითა და ცრემლით ნაშენი კერა და გახიზვნა დაიწყო ბაკურიანისაკენ. მიღიოდნენ ურმებით, მიჰყავდათ ცხვარი, საქონელი. ბაკურიანისაკენ მიმავალი გზატკეცილი გაჭედილი იყო გაურჩეველი მასით, რომელიც ნელა მიიწევდა წინ. ურმებზე, ცხენებსა და ვირებზე ბარგთან ერთად დაკრული იყვნენ მოხუცები, დავარდნილები, ბავშვები... ვისაც შეეძლო, ზურგზე ვეება ტვირთი ეკიდა. როცა მიაღწიეს ცხრაწყაროს, რომელიც ზღვის ღონიდან 2260 მეტრის სიმაღლეზეა, ლტოლვილთ დიდმა სეტყვამ უსწრო. ბევრი შიშველ-ტიტველი მჯზავრი გაცივდა და ანთებით გარდაიცვალა, დაზიანდა უამრავი პირუტყვი...ლტოლვილებმა ბაკურიანში მოიყარეს თავი. მათი ბინალია ცა იყო, გაჩნდა მუცლის ტიფი, რომელმაც თითქმის ყველაოჯახს მიაკითხა და 2—3 სული გამოაცალა ხელიდან. „ტიტმა მარტო ჩვენს სოფელს, ამბობს პავლე ბალიაშვილი, 300 კაცი და აკლო“.

მენშევიურმა მთავრობამ, რომელიც ხან გერმანელებს და ხან ინგლისელებს ელაქუცებოდა, თითქოს მოამზადა თურქეთთან სადაც საკითხები და 1919 წლის ნოემბერში აიძულა ხიზნები მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ. მათგან 60 კომლი შიგნით კახეთში დარჩა და დააარსა სოფელი ხიზაბავრა (ახლანდელი გურგენიანი), ხოლო 30 ოჯახმა გორის მაზრის სოფელ ახალხიზანს მიაშურა და

ადრინდელ ჩასახლებულ თანასოფლელებს შეუერთდა, დანარჩენები დაუბრუნდნენ მიტოვებულ სახლ-კარს. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ თაგისუფლად ამოისუნთქვა ხიზაბავრელმა გლეხობამ და მშვიდობითი ცხოვრების გზას დადგა.

განახლებული ხიზაბავრა

დავიბადებით ცოდვილნი,
დამწვარი, დადაგულები,
არ ამოვიდა მზე ჩვენთვის
არ გაგვიმოლა გულები.

ასე ცრემლნარევი ოხვრით მოსთქვამდნენ საუკუნეთა მანძილზე ხიზაბავრელები. დღეს ეს ლექსი აღარავის ახსოვს.

დიდი ოქტომბრის მზემ ხიზაბავრაში ძალუმად შემოანათა. ახლა სოფელში ვერ ნახავთ მიწურებს, კოლმეურნეთა კარ-მიდამო—ოდა-სახლებმა დაამშვენა.


კოლმეურნეობა ხიზაბავრაში 1929 წლის აპრილში დაარსდა. იმხანად სოფელი ახლად შექმნილ ტოლოშის რაიონში შედიოდა.

1929 წლის 24 აპრილს ხიზაბავრაში შედგა სოფლის სახალხო კრება, რომელზეც განიხილეს სასოფლო-სამეურნეო არტელის შექმნის საკითხი.


კრება დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. სოფლის მოკულაკო ელემენტები აშკარად წინააღმდეგი იყვნენ სოფელში კოლმეურნეობის შექმნისა და ყოველნაირად ცდილობდნენ კრება ჩაეშალათ. ისინი გაჰყვირდნენ „არ გვინდა კოლმეურნეობა, არტელში არ შემოვალთ, მიწას არ მოვცემთ, სოფელს ცეცხლს მივცემთ!“ მაგრამ ხიზაბავრელ კომუნისტთა მოწინავე ჯგუფმა დაარწმუნა გლეხობა საკოლმეურნეო მეურნეობის უპირატესობაში. პირველი კოლმეურნეობის წევრები გახდნენ: ბაგრატ ბაპაშვილი, ბაგრატ ყრუაშვილი, კოსტა ყრუაშვილი, ლევან ველიგანაშვილი. კატო ველიგანაშვილი, იოსებ ველიგანაშვილი, გაბო ველიგანაშვილი, ფანი მაზმნიშვილი, ლაზარე მაზმნიშვილი, იოსებ ანთაძე, მიხა ლექიშვილი, პეტრე პაპაშვილი, მამუკა ქუქჩიშვილი, გასპარ ტატურაშვილი, ნინა ზურაბაშვილი, ქიტე დათაშვილი, კეკელა დათაშვილი, პეტრე მაზაშვილი.

კოლმეურნეობის პირველ თაგმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია ბაგრატ ეფრემის-ძე პაპაშვილი. კოლმეურნეობაში შემო-

სახლი
კართველი



სურ. 9. ძველი სახლი კართველით.



ისტორიული
მდგრადი თემა



ც

სურ. 11. ხიზაბავრის ობელისკის და დიდების სახლის მშენებლობის მომქმედი აქტივი

ტანილი უძრავ-მოძრავი ქონება იყო: სახნავ-სათესი მეწა —
25 ჰა, გამწევი ხარი — 18, ხის გუთანი — 1, არონა — 5,
ჯილდა — 2, კევრი — 7, ღიღი უღელი — 9, პატარა უღელი —
11, ტყავის ასაკრავი — 13, ჯაჭვი — 22 მეტრი, რკინის ტაბიკები —
8, ხის ტაბიკები — 35, კაბლო ფარცხით — 2, საბარო — 4, თავ-
ლორი ურემი — 2.

აი, ეს იყო ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის მთელი
ავლა-დიდება, რომელიც წლების მანძილზე თანდათან იზრდებოდა
და მტკიცდებოდა.

1972 წლისათვის კოლმეურნეობა უკვე აერთიანებდა 346
კომლს 760 შრომისუნარიანი წევრით კოლმეურნეობის კუთვნი-
ლებაშია 4382 ჰექტარი მიწა, აქედან 1300 ჰექტარი ვარგისია, მათ
შორის 450 ჰა სახნავ-სათესი, 250 — სარწყავი, 550 — ტყე, 450 —
ტერასები, 900 ჰა საძოვარი და სხვ.

კოლმეურნეობაში არის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მე-
ცხვარეობისა და მელორეობის ფერმები, მემინდვრეობის სამი და
შებალეობა-მევენახეობის ერთი ბრიგადა.

ხიზაბავრის სასოფლო საბჭოში გაერთიანებულია შემდეგი
სოფლები: ხიზაბავრა, სარო, თოკი და ვარგავი.

სოფელში არის საშუალო სკოლა, სამი სამკითხველო, კლუბი,
საბავშვო ბაგა-ბალი, ფოსტა-ტელეგრაფი, შემნახველი სალარო,
ფურნე, სასურსათო და სამრეწველო მაღაზია, სახერხი ქარხანა,
ელექტროწისქვილი, აშენდება ბაზალტის ქვის დამზუშვებელი ქარ-
ხანაც. სოფელი მთლიანად ელექტროფიციირებული და გაზიფიცი-
რებულია.

სოფლის შესასვლელში აღიმართა 22-მეტრიანი ობელისკი დიდ
სამამულო ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად, რომლის ხეივანში
უამრავი მწვანე ნარგავი გაახარეს. აიგო დიდების სახლი, სადაც
გამოფენილია ხიზაბავრის ლირსეული მამულიშვილების პორტრე-
ტები. სულ მოკლე დროში დამშვენდა და გაშენდა მტრისაგან მრა-
ვალგზის იავარქმნილი ხიზაბავრა.

ხიზაბავრელები დიდ სამაშულო ომში

დიდი სამამულო ომის პერიოდში ხუთასზე მეტმა ხიზაბავ-
რელმა აიღო იარაღი საბჭოთა ხელისუფლების დიადი მონაბოვრის
დასაცავად. 116 მეომარი გმირულად დაეცა ჩვენი ქვეყნის თავი-
სუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ომის დაწყების პირველი დღიდანვე მთელი სოფელი ფეხზე დადგა. სოფლის მისაღომები საბრძოლო სანგრებად აქციებს, ბევრა-გან კარგად გამაგრებული სანგრებიც კი ააგეს.

დიდი და პატარა გაათკეცებული ენერგიით ჩაება საკოლმეურ-ნეო შრომაში.

აღსანიშნავია, რომ 1941 წლის ბოლოს კოლმეურნეობის შემსახული ერთორად გაიზარდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდება „ყველაფერი ფრონტისათვის!“ ხალხის ყოველ-დღიური შრომის დევიზი გახდა. სოფელში დარჩენილნი თავდა-დებით შრომობდნენ ახლად დაწყებულ ბორჯომ-ვალეს რკინიგზის მშენებლობაზე.

ბევრ ოჯახში უბატრონობით კარი გამოიხურა, ხოლო ოჯახებს, რომელთაც შრომისუნარიანი არავინ დარჩათ, კოლმეურნეობა ეხ-მარებოდა. სოფლის პირველმა გმირმა დედამ სარა ველიგანაშვილ-მა ხუთი ვაჟი გაისტუმრა ფრონტზე (დავითი, მიხეილი, პავლე, ლევანი, ანტონი). მათგან დავითი არ დაბრუნებულა, ხოლო სამი შვილი ინვალიდი დაბრუნდა. სოფიო კელოშვილის ვაჟები — იაკობი, ვასილი, კირილე გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე. მსგავსი მაგალითებით სავსეა ეს პატარა სოფელი. სოფელი ინახავს გმირთა ხსოვნას. 1972 წელს ხიზაბავრაში მათი დიდების საპატივცემლოდ 22-მეტრიანი ობელისკი აღმართეს სოფლის მშრო-მელებმა. ამ ობელისკის აგება სოფლის აქტივმა ითავა და საშვი-ლიშვილო საქმე გააკეთა.

ობელისკისა და დიდების სახლის ტერიტორიაზე დაირგო 365 ხე. ეს ციფრებიც სიმბოლური მნიშვნელობისაა.

365 ხე — წელიწადის დღეთა რაოდენობას გულისხმობს.

116 კანადის ვერხვი — ომში დაღუპული 116 ხიზაბავრელ ვაჟ-კაცს.

4 კაქლის ხე — წელიწადის ოთხ დროს,

12 ნაძვის ხე — წელიწადის ოორმეტ თვეს,

50 ფიჭვი — წელიწადის 50 კვირადღეს,

30 მუხა — თვის 30 დღეს,

100 ალვის ხე — ხიზაბავრელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მაუწყებელია,

53 ტირიფი — 1918 წელს თურქთა მიერ დახოცილი 53 ხი-ზაბავრელის ხსოვნას.

ობელისკის მარმარილოს მოზრდილ ფირფიტაზე ოქროს ასო-
ებით აშკაგეთილია ომში დაღუპულთა უკვდავი სახელები:

არაბაშვილი ივანე სტეფანეს ძე, ბალიაშვილი ანტონ სიმონის
ძე, ბალიაშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, დათაშვილი სანდრო პავლეს
ძე, დათაშვილი გიორგი ივანეს ძე, დათაშვილი ანტონ თომას ძე,
დათაშვილი სანდრო სტეფანეს ძე, ველიჯანაშვილი ივანე გაბრიე-
ლის ძე, ველიჯანაშვილი ვასილ გაბრიელის ძე, ველიჯანაშვილი
ვანო გაბროს ძე, ველიჯანაშვილი სანდრო გიორგის ძე, ველიჯანა-
შვილი თომა მარკოზის ძე, ველიჯანაშვილი დავით იაკობის ძე, ვე-
ლიჯანაშვილი მიხა ვასილის ძე, ველიჯანაშვილი სანდრო სერგოს ძე,
ველიჯანაშვილი კოსტა სერგოს ძე, ველიჯანაშვილი კოსტა იოსების
ძე, ველიჯანაშვილი სიმონ ანტონის ძე, ველიჯანაშვილი გიორგი
თომას ძე, ველიჯანაშვილი ივანე გიორგის ძე, ზურაბაშვილი ანტონ
სოლომონის ძე, ზურაბაშვილი გაბრიელ ივანეს ძე, თამაზაშვილი
ივანე იოსების ძე, თამაზაშვილი პავლე გაბრიელის ძე, თენოშვილი
ანტონ სერგოს ძე, თენოშვილი პეტრე სერგოს ძე, თენოშვილი
ალიოზ სერგოს ძე, თენოშვილი სოლომონ ვასილის ძე, თენოშვილი
სიმონ იაკობის ძე, თენოშვილი სანდრო თომას ძე, თენოშვილი
ალიოზ თომას ძე, თენოშვილი მიხა ალექსის ძე, თენოშვილი პავ-
ლე ალექსის ძე, კელოშვილი კირილე იოსების ძე, კელოშვილი ვა-
სილი იოსების ძე, კელოშვილი იაკობ იოსების ძე, კელოშვილი სტე-
ფანე ივანეს ძე, კელოშვილი სიმონ სტეფანეს ძე, კალაიჯიშვილი
გრიშა პავლეს ძე, ლეკიშვილი სოლომონ სანდროს ძე, ლეკიშვი-
ლი მიხეილ პეტრეს ძე, ლეკიშვილი ვასილი პავლეს ძე, ლეკიშვილი
გიგლა კონსტანტინეს ძე, ლეკიშვილი ვასილი კირილეს ძე, მეტო-
შვილი პეტრე ლაზარეს ძე, მექოშვილი პავლე გიორგის ძე,
მექოშვილი გაბრიელ გიორგის ძე, მექოშვილი სტეფანე გიორგი
ძე, მექოშვილი მიხეილ ვასილის ძე, მექოშვილი სტეფან ივანეს
ძე, მექოშვილი პეტრე ზაქარიას ძე, მექოშვილი ლევან კონსტან-
ტინეს ძე, მურადაშვილი ვალიკო ფარსადანის ძე, მურადაშვილი
ფანჩო ვასილის ძე, მურადაშვილი პიო ივანეს ძე, მურადაშვილი
სიმონ ვასილის ძე, მურადაშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე, მუ-
რადაშვილი პეტრე გაბრიელის ძე, მურადაშვილი იაკობ ვასილის
ძე, მურადაშვილი ვასილი პეტრეს ძე, მამუკაშვილი პავლე კონს-
ტანტინეს ძე, მამუკაშვილი ლევან ვასილის ძე, მამუკაშვი-
ლი სოლომონ იაკობის ძე, მამუკაშვილი ფანჩო პავლეს ძე,
მაზაშვილი მიხეილ იოსების ძე, მაზაშვილი ლევან იაკობის

ძე, მაზაშვილი სიმონ ივანეს ძე, მაზაშვილი გიგლა კონსტანტინეს ძე, მაზმიშვილი გაბრიელ სტეფანეს ძე, მაზმიშვილი სიმონ გიორგის ძე, მაზმიშვილი სერგო გიორგის ძე, მაზმიშვილი სიმონ კოსტას ძე, მაზმიშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, ბაბელაშვილი ივანე იაკობის ძე, პოსოშვილი კოსტა ათანას ძე, პოსოშვილი ალექსი პავლეს ძე, პოსოშვილი ვასილი იოსების ძე, პაპაშვილი პეტრე აბრამის ძე, პაპიევი მიშა არუთინის ძე, პაპიევი ივანე არუთინის ძე, პაპაშვილი იოსებ პავლეს ძე, ტატურაშვილი სანდრო ვასილის ძე, ტატურაშვილი ბაგრატ ვასილის ძე, ტატურაშვილი სიმონ გაბრიელის ძე, ფერადე გრიშა ანტონის ძე, ფერადე ვასო მაქსიმეს ძე ფირფირაშვილი ზურაბი სიმონის ძე, ფირფირაშვილი ალიოზ იაკობის ძე, ფირფირაშვილი პავლე ვასილის ძე, ფირფირაშვილი მიხეილ ვასილის ძე, ქუქჩიშვილი მიხეილ სტეფანეს ძე, ქუქჩიშვილი სიმონ ვასილის ძე, ქუქჩიშვილი ლაზარე პავლეს ძე, ქუქჩიშვილი ბაგრატ სოლომონის ძე, ყირიმლიშვილი ვასილ სიმონის ძე, ყირიმლიშვილი გიორგი ვასილის ძე, ყრუაშვილი ლევან სიმონის ძე, ყრუაშვილი კოსტა ბაგრატის ძე, ყრუაშვილი გიორგი ბაგრატის ძე, ყრუაშვილი სიმონ სოლომონის ძე, ყაზაშვილი სპირიდონ გიორგის ძე, ყაზაშვილი იაკობ გიორგის ძე, ხუციშვილი ივანე სიმონის ძე, ხუციშვილი ლაზარე ვასილის ძე, ხუციშვილი იორდან გაბრიელის ძე, ხუციშვილი იაკობ ვასილის ძე, ხუციშვილი პავლე იოსების ძე, ხუციშვილი სანდრო ვასილის ძე, ხითარიშვილი მიხეილ პეტრეს ძე, ხაზალაშვილი იოსებ სტეფანეს ძე, ხაზალაშვილი გაბო სტეფანეს ძე, ხაზალაშვილი მიხა სტეფანეს ძე, ხაზალაშვილი სიმონ ზაქარიას ძე, პაპაშვილი პეტრე ვასილის ძე.

სამამულო ომიდან ინვალიდები დაგრუნდენ:

დათაშვილი სიმონ იაკობის ძე, ველიჯანაშვილი მიხეილ იაკობის ძე, ველიჯანაშვილი ლევან იაკობის ძე, ველიჯანაშვილი ანტონ იაკობის ძე, ველიჯანაშვილი რაფიელ იოსების ძე, ველიჯანაშვილი სიმონ თომას ძე, მამუკაშვილი მიხეილ სერგოს ძე, მამუკაშვილი სტეფანე იაკობის ძე, მამუკაშვილი იაკობ სტეფანეს ძე, მექოშვილი თომა სპირიდონის ძე, მექოშვილი იაკობ გიორგის ძე, მექოშვილი კირილე გიორგის ძე, მურადაშვილი პავლე გაბრიელის ძე, მურადაშვილი ივანე გიორგის ძე, ზურაბაშვილი მიხეილ ივანეს ძე, ზურაბაშვილი ანტონ სტეფანეს ძე, თამაზაშვილი ლაზარე გაბრიელის ძე, თამაზაშვილი მიხეილ იოსების ძე, პაპაშვილი მიხეილ

ილ აბრამის ძე, პაპაშვილი ივანე ეფრემის ძე, ქუქჩიშვილი სტეფა-
ნე სტეფანეს ძე, ფეიქრიშვილი ალიოზ ვასილის ძე, ხეხალაშვილი
მიხეილ პავლეს ძე, ხუციშვილი ალექსანდრე გაბრიელის ძე და
სხვა.

ტოპონიმიკა

ხიზაბავრას საკმაოდ მდიდარი ტოპონიმიკა აქვს. სოფელში რამ-
დენიმე ძველთაძველი ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულია:

ბაბელით ტაფი

ძაღლისახრჩობელასი

ნაფეტვარის — გამოკვეთილია შუა კლდეში,

ქვაბისკარის 90 მეტრის სიმაღლეზე.

ჩანჩხერლის

ჩიხორიშის

შაფიათ ვენახების

ხიზაბავრას გარს აკრავს პატარა მთები, რომლებიც ლამაზ ღე-
ლე-ხევებს ქმნიან:

ლართახევი, ხმელხევი, საროხევი, ორმოანახევი, ვარანტისხევი,
აბაზესხევი, ხიზიხევი, ჭალისხევი, დედოფლისხევი, დედოფლეთის-
ხევი, სანაქრისხევი, კაბისხევი, ჩრდილისხევი, თხილნარისხევი,
თაფლასხევი, ხიხატისხევი, ჩანჩხერელახევი, ბრაწნალისხევი, ლე-
კინაჩეხისხევი.

ძველი ისტორიული ტოპონიმებია:

უნაგირა

ჩანჩხერელა

კლდეწითლები

საგოგომ

ვაშაურა

ბრაწნალი

ოდისები

თაფლაჩრდილი

ვარანტა

ობოლეთი

გვერიგვერდი

ცხენთაჭალა

საბურთალო

რუსხმული

სანაქრე

ზედაველა

ლარები

ირშისკოტაკი

ბეჟოლარი

ლომისაღვომი

სახიზარი

ნამარნიები

წვერი ლორთატბა

მელისკუდა

სისხლოანა

დარიჯები

ნიგჭორულები

ორმოანა

გადაურა	ვერხვნარი
სამყურა	ნაძრავები
ქარაფი	ჭინჭრობი
გადაფრიალა	საბუზარა
ნაფეტვარი	გლდეპარი
დიდგზა	გვერდა
იღაყვა	წიხატი
ძალლისსახრჩობელა	გორაბანი
ხიზიხევი	ჩიხორიში
სამყინვარო	ოქროქვა
ჩრდილი	ოსპნაური
კაპნები	სისხლუანა
სათიბე	

საინტერესოა აგრეთვე წყაროთა სახელები:

წვერის, ხვლიკის, ნაეთის, ნეფის, უკვდავების, დედოფლის, აბაზას, ობოლეთის, გველის, ლელების, ბერნადეთი, თეთრი, ამიროჭალის, კოდის, იდაყვის, ვარანტის, თხილნარევის, ნაძრავების, ჩრდილების, ჩანჩხერლის, ჭილიხევის, სათიბის, შაფიას, სანაქრის.

ხიზაბავრის სახელოვანი ადამიანები

„დალი“ პავლე (ტატურაშვილი)


(1780—1872)

პ. ტატურაშვილი დაიბადა ხიზაბავრაში, ტატურათ უბანში. პავლეს მამა სტეფანე ჩალვალარი იყო და შვილს გვერდიდან არ იშორებდა. ორივეს მთელი მესხეთი ფეხით ჰქონდათ შემოვლილი. მამა-შვილი ვაჟკაცობაში ტოლს არავის უდებდა. (მამაცობისათვის პავლეს ხალხმა მეტსახელად „დალი“ შეარქვა).

თურქებისაგან შევიწროებული ხიზაბავრელები იმისათვის, რომ ქართველობა შეენარჩუნებინათ, კათოლიკედ მოინათლენ. კათოლიკებს ფაშა ვერაფერს უბედავდა რომის პაპის შიშით, თუმცა მაინც არ ეშვებოდა და ყოველთვის საბაბს ექებდა მათი შეურაცხყოფისათვის.

1815 წლის ერთ საღამოს ხიზაბავრაში ორი შეიარაღებული „ჩაუში“ მოვიდა და პავლე ტატურაშვილს განუცხადა: „ხერთვის-ში ფაშა გიბარებს, შენი ცოლით უნდა ეხლო“. პავლემ მორჩილად მიუგო „დღეს უკვე დაღამებულია, რაღა იქნება, ამაღამ აქ დარჩით, მოისვენეთ და ხვალ ვეახლოთო“. „ჩაუშებს“ ცოტა არ იყოს შეეშინდათ კიდეც დამით ასეთი ვაჟკაცის წაყვანისა და დათანხმდნენ. ჩაუშებმა პავლე ცოლშვილით თავის სახლში დაამწყვდიეს, გარედან კარი დაუკეტეს და დილამდე ჰყარაულობდნენ. შუალამისას მეზობლებმა ისინი გააპარეს, შეუქაზმეს ორი ცხენი, სურსათ-სანოვაგე გაუმზადეს და ჭავახეთზე გავლით თბილისი-საკენ გაისტუმრეს. დილით „ჩაუშები“ პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ.

პავლე ტატურაშვილი ცოლ-შვილით თბილისში დაბინავდა და პატიოსანი შრომით დაიწყო ცხოვრება.



ସ୍ତ୍ରୀ. 12. ବ୍ୟାଙ୍ଗେ ତୁମୁଳାଶ୍ଵିଲୀ

დიდი ბრძოლისა და სისხლისღვრის შედეგად რუსეთის ჭარბა
სამცხე-საათაბაგოდან განდევნა თურქები და გაათავისუფლა ახალ-
ციხის საფაშოს ნაწილი. თავდადებული მამული შეიტარდა. სამხრეთ
საქართველოს განთავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლი მეგ-
ზური პავლე ტატურაშვილი გამარჯვებულ რუსის ჭართან ერთად
1828 წელს 13 წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა თავის მშო-
ბლიურ სოფელ ხიზაბავრაში. ამ დიდი სამსახურისათვის ჭილდოს
გარდა პავლეს პასკევიჩისაგან ებოძა დანატოვარი მიწა-წყალი, სა-
დაც დაასახლა თავისი სოფლელები (დათაშვილები, თამაზაშვი-
ლები, თარხნიშვილები და სხვ.), რის შემდეგაც შეიქმნა პატარა
სოფელი ვარგავი.

იოსებ ხუციშვილი


(1797—1890)

იოსებ ხუციშვილი დაიბადა 1797 წელს ხიზაბავრაში მისი მა-
მა ანტონი, ფრიად განათლებული მამულიშვილი, ქართველ კა-
თოლიკეთა მოძღვარი იყო. მან თავისი შვილი იოსები დიდი პატ-
რიოტული სულისკვეთებით აღზარდა.

მესხეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი საჭიროდ
თვლიდა ქართული ენისა და კულტურის განმტკიცება-შე-
ნარჩუნებას და მის გარშემო გაერთიანებას. ამ დიდი საქმისა-
თვის იღვწოდნენ ანტონ ხუციშვილი, მიხეილ თამარაშვილი,
იოსებ ხუციშვილი, პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე
(ვინმე მესხი), პავლე კალაიჯიშვილი (პუბლიცისტი), დომინიკე
მულაშვილი (პუბლიცისტი). მთარგმნელი ანდრია წინამდლვრი-
შვილი, ალიოზ ბათმანაშვილი (მკვლევარი), მიხეილ ანტონაშვი-
ლი — სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი, იოანე გი-
ორგაძე — პედაგოგი, მიხეილ ვარძიელი, ზაქარია ჭიჭინაძე — მკვ-
ლევარი-ისტორიკოსი, მიხეილ თარხნიშვილი — გამოჩენილი ქარ-
თველი მეცნიერი-ისტორიკოსი, შალვა ვარდიძე — ბეირუთის უნი-
ვერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი-არაბისტი, იოსებ მერაბი-
შვილი — გამოჩენილი ექიმი და სხვები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ
ქართველი ერის ისტორიისა და ქართული ენის დაცვა-შენახვის
საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული წიგნების გამო-
ცემას.

იოსებ ხუციშვილმა (გოდებაძემ) 1836 წელს სრულიად და-
მოუკიდებლად ხიზაბავრაში, შემდეგ კი ახალციხეში (რაბათში)
საკუთარი ხელით ჩამოასხა ლითონის ასოები და შექმნა ქართული
სტამბა. იგი ამბობს:

„ჩემს ძალზედ მეტი საქმე დიაკვნობაშიდ ავსახე,
სადნობელი მაღნისაგან წერვის ასონი ჩავსახე,



ସ୍ତ୍ରୀ. 13. ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ପଦ୍ଧତିର ପରିଚୟ

საბეჭდავი არ მენახა, ორი საქმე გამოვსახე,
კურსი გჰეარი ჩამოვასხი, ქალალზედა ასო ვნახე
წამყითხველსა გიადვილებს, ამ წიგნის თარიღი ნახე“.

სტამბაში იოსებ ხუციშვილმა ჯერ სასულიერო, ხოლო შემდეგ საერო წიგნების ბეჭდვა დაიწყო. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა და უსიამოვნებისა, მაინც დაუღალავად აგრძელებდა დაწყებულ საქმეს. აი, რას წერს თავად ამის თაობაზე:

„სასჯელი ბევრი გავსწიე, გვირგვინი მივეცი ერსა“.

მისი გამოცემებიდან დღემდე ხუთი წიგნი შემორჩა, რომლებიც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, იოსებ ხუციშვილი არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას ქართული სწავლა-განათლებისათვის მესხეთში. მას საკუთარ ოჯახში ჰქონია ორი სასწავლებელი: ვაჟთა და ქალთა. ვაჟთა სწავლა-განათლების საქმეს თავად უძღვებოდა, ხოლო ქალებთან მუშაობდა მისი ნათესავი ქალი, უაღრესად განათლებული და საონო მანდილოსანი თერე ხუციშვილი. სწავლებისათვის იოსებ ხუციშვილი იყენებდა საკუთარ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს, რომლებსაც მოსწავლეებს უსასყიდლოდ ურიგებდა.

ი. ხუციშვილი გარდაიცვალა ლრმად მოხუცებული. ვინმე მესხი წერს: „იგი გარდაიცვალა, სიკვდილის ორი წლის წინად მან თავისი ხელით გათხარა და მოამზადა საფლავი, მოვკვდები აქ დამდარხეთო, და მართლაც იქ, თავის ხელით ამოთხრილ საფლავში განისვენებს ნეტარხსენებული ჩვენი მესხ-ჯავახი ჰუტენდერგიო“.

პეტრე ხარისხირაშვილი¹⁹

(1804—1887)

პ. ხარისხირაშვილი დაიბადა ახალციხეში, სწავლობდა ახალციხის სკოლაში, იზრდებოდა ფრიად განათლებულ პავლე ჭილიმუზაშვილის ხელმძღვანელობით, მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. კურსის გავლის შემდეგ სწავლა განაგრძო ევროპაში, საიდანაც 1842 წელს დაბრუნდა და დაინიშნა არქიმანდრიტის თანაშემწედ. 50-იან წლებში სომხე და ქართველ კათოლიკეთა შორის ატეხილი დავის გამო ახალციხიდან გააძვეს ხიზაბავრაში, სადაც დაპყო შვიდი წელი. ხიზაბავრაში საბოლოოდ შეიმუშავა თავისი მომავალი ბრძოლისა და შრომის ამაცანები მესხეთის კეთილდღეობისათვის.

1855 წ. საზღვარგარეთ მიდის და იღვწის ქართული წიგნების გამოცემისათვის. იგი თავისი საქმიანობისა ვატიკანის ყურადღებას იმსახურებს და კონსტანტინეპოლში ქმნის ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციას — ქართული ენითა და ტიპიკონით. 1859 წელს კონსტანტინეპოლში დაფუძნა ქართული მონასტერი. შეიძინა ქართული საბეჭდი მანქანა, გამონახა სტამბისათვის აღგილი და აამუშავა ქართული სტამბა, რომლის დირექტორად დაამტკიცა ანტონ გოზალიშვილი.

პ. ხარისხირაშვილი 1877 წელს კონსტანტინეპოლიდან ხიზაბავრაში ივანე გვარამაძეს უგზავნის ფულს და სთხოვს ქართული გრამატიკის შექმნაში დახმარებას. სტამბაში უფრო მეტად სასულიერო ხასიათის წიგნები იძეჭდებოდა. აქ მომუშავე პავლე კალაიჯიშვილი მოითხოვდა საეკლესიო წიგნების გამოცემის შემცირებას, სახალხო, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის წიგნების გაზრდას.

დაბეჭდილ უამრავ წიგნთა შორის აღსანიშნავია: „ყვავილების კონა“, „გზა ცხოვრების“, „მოკლე რიტორიკა“ და სხვა.

¹⁹ შოთა ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964, გვ. 65—83.



ସୂଚ. 14. ଶେଖର କାରିସ୍କ୍ରିପ୍ଟରାଷ୍ଟ୍ରିଲୋ

ქართველი ერისათვის, საზოგადოებისათვის უანგარო შრომა უცხოეთში აჩვებულმა „ძმობამ“ სწორედ ამ წიგნებში ასახა.

3. ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით პატრიოტული საქ-
მიანობა ისე გაძლიერდა, რომ 1870 წელს ამ „ძმობამ“ საფრან-
გეთში, ქ. მონთობანში, დააფუძნა ახალი „ძმობა“, რომელმაც
ხელი მიჰყო ქართულ ლიტერატურულ საქმიანობას. აქაც შეიქმნა
ახალი სტამბა, ბეჭდავდნენ სასოფლო სკოლებისათვის სახელმ-
ძღვანელოებს, ქართულ ლექსიკონებს და სხვ. ამ საშვილიშვილო
საქმის მოთავენი იყვნენ ანდრო წინამძღვრიშვილი, ა. ხითარი-
შვილი და ს. გორგაძე.

1877—1881 წლებში მათ ოცდახუთამდე სხვადასხვა წიგნი
დაბეჭდეს და გააცრცელეს საქართველოში.

1860 წ. 3. ხარისჭირაშვილმა კონსტანტინეპოლში დაარსა-
ორწლიანი ქართული სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1870
წელს სამწლიანად გადაკეთდა. ამ სასწავლებლის პირველი მო-
წაფენი იყვნენ სტამბოლის ბაზარზე გაყიდული გურული ბავშვე-
ბი და ახალციხიან სპეციალურად ჩამოყვანილი ყმაშვილები,
აიგო 4 სართულიანი ახალი შენობა იმ მიზნით, რომ აქვე მოთავ-
სებულიყო მომავალი ქართული სასულიერო სემინარია. აქვე შე-
ქმნეს ეკონომიური წყარო — „ამხანავობა“ ქარვასლა, რომლის
შემოსავალი ძმობის საერთო ფონდში შედიოდა, ჰქონდათ ხუთი
დუქანი, ძროხების ფერმა და სათესი მინდორი. ამ გზით შემო-
სულმა თანხამ 1900 წელს ძმობის ბანკში 45 000 მანეთი შეაღინა. 3.
ხარისჭირაშვილი ამ თანხაში ჭვრეტდა სკოლის ბედს. მას მიაჩ-
ნდა, რომ ამ სასწავლებელდამთავრებულს შეეძლო შეესრულებინა
სასულიერო და სამოქალაქო სამსახური. მისმა შორსგამიზნულმა
პატრიოტულმა საქმეებმა აღაფრთოვანა საქართველოს გამოჩენი-
ლი მოღვაწენი: დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ა. ცაგარელი, თ. სა-
ხოვა, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, ი. ნიკოლაძე,
ა. მრევლიშვილი, ი. გოგებაშვილი და სხვა.

პეტრე ხარისჭირაშვილის სასწავლებლის ბევრმა აღზრდილმა
შემდეგში მეცნიერების დიდ ასპარეზზე გამოიჩინა თავი. ასეთები
იყვნენ ისტორიკოსი და მკვლევარი მიხეილ თამარაშვილი, პუბ-
ლიცისტი დ. მუღაშაშვილი, მკვლევარი ა. ბათმანაშვილი, სარა-
ტოვის სემინარიის რექტორი მ. ანტონაშვილი, გამოჩენილი ქარ-
თველოლოგი, ევროპაში ქართული კულტურის მგზნებარე პროპა-
განდისტი მ. თარხნიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მე-

რაბიშვილი, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიკო-

სი-არაბისტი, დაუცხრომელი პატრიოტი შ. ვარდიძე და სხვ.

ასე მრავალმხრივი იყო მეცხრამეტე საუკუნის დიდი პატრი-


ოტის მესახეთის სახელოვანი შვილის პეტრე ხარისჭირაშვილის სა-

შოღვაწეო ასპარეზი. იგი გარდაიცვალა 1887 წელს სტამბოლში.

ივანე გვარამაძე (ვინა შესები)

(1831—1912)

ი. გვარამაძე დაიბადა სოფელ ვალეში. მამა იყო ხიზაბავრი-დან, ხოლო დედა ანა ფალიაშვილი — ღიძი ქართველი კომპოზი-ტორის ზაქარია ფალიაშვილის პაპიდა სოფელ ვალედან. ბავშვო-ბა მკაცრ პირობებში გაატარა. ბუნებრივმა ნიჭმა და სწავლის წყურვილმა ადრე გამოიყვანა ცხოვრების ასპარეზზე. ჯერ ახალ-ციხეში სწავლობდა, შემდეგ თბილისში, ქუთაისში, ალექსანდრო-პოლში, სარატოვში, კონსტანტინოპოლში. იგი ყველგან სასული-ერო წერეში ტრიალებდა და კარგად ხედავდა კარიერისათვის ატე-ნილი პირმოთნეობის, მლიქენელობის, ვერაგობისა და ბოროტე-ბის ყველა იმ გამოვლინებას, რაც ასე დამახასიათებელი იყო ეკ-ლესის მსახურთათვის იმ დროს. ივანე გვარამაძე თავისი პირდა-პირობისა და მამულისადმი ერთგულებისათვის ყველგან დევნი-ლი იყო „სულიერ მოძღვართა“ შორის, რას გამოც 1865 წელს ხიზაბავრაში განდევნეს. მშობლიურ სოფელში მან 16 წელი დაჰ-ყო. აქ დაიწყო მისი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა მესხეთის კუთხის სიძველეთა ძეგლების შესასწავლად, ხელი მიჰყო თვით-განვითარებას, გაიცნო ქართული და სომხური მწიგნობრობა, შე-ისწავლა თურქული, ლათინური, ფრანგული ენები. მას განსაკუ-თრებით მესხეთ-ჭავახეთის ისტორიული სვე-ბედი აინტერესებდა. გამაპმადიანებას გადარჩენილი ქართველი მოსახლეობა გადაგვა-რების უკუღმართ გზას ადგა. კათოლიკური ეკლესიის მსახურნი ქართველ ხალხს ნათლავდნენ „ფრანგების“, „გრიგორიანე-ბის“ სახელებით. ეს იყო მიზეზი, რომ ივანე გვარამაძემ პირველმა გაბედულად აღიმაღლა ხმა ქართველთა გადაგვა-რების წინააღმდეგ. იგი ურყევად დადგა ქართველი ხალ-ხის ეროვნული გადაგვარების წინააღმდეგ. გაშალა ბრძოლა კალმით და ცოცხალი სიტყვით მესხთა გვარტომობის დასაცა-ვად, ახალგაზრდობიდანვე დაიწყო საქართველოს ისტორიის ძვე-ლი ცნობების შეგროვება, გაანალიზება, მან ჩვენს ისტორიულ



სურ. 15. ივანე გვარამაძე (ცინმე მესხი)

მწერლობაში ბევრი ძვირფასი მასალა შემოინახა. „კარგად იცოდა ძველი და ახალი სომხური მწიგნობრობა და ისტორია, რომლისგანაც ჩვენმა ისტორიულმა მწერლობამ ბევრი რამ ძვირფასი განდი შეიძინა, სომხურის ენიდან ქართულს ენაზე ბევრი უცხო, ჩვენთვის დღემდე უცნობი ცნობები გაღმონერგა“²⁰.

ცნობილი ქართველი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე, რომელსაც მშობლიურმა ერმა „ქართველი წიგნის რაინდი“ უწოდა, 1881 წელს აკაკი წერეთლის თხოვნით სოფელ ხიზაბავრაში ესტუმრა ივანე გვარამაძეს და განცვიფრებული დარჩა მისი მრავალმხრივი ცოდნითა და შრომისმოყვარეობით.

ივ. გვარამაძემ დიდი შრომა გასწია ქართული ლექსიკონის შესავსებად. მან მარტო მესხეთში შეკრიბა და ჩაიწერა 13 ათასი სიტყვა, რომლებიც არ იყო შეტანილი არც საბა-სულხან ორბელიანის და არც ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. მანვე შეაგროვა უამრავი ფოლკლორული მასალა, შეისწავლა ყველა მესხური სიმღერა. „მესხეთში და ჭავახეთში არ ყოფილა არც ერთი სასიმღერო კილო, რომ ივ. გვარამაძემ კარგად არ იცოდეს... თუ არ ჩაიწერა სიმღერები გვარამაძის შემდეგ ეს ხმები არავის ეცოდინება და ყოველივე გაპქრება უკვალოდ“²¹.

ქართველი ხალხის სასიქაღლო მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდნენ მის ნიჭის, უნარს და ნაღვაწს, ხოლო ზაქარია ჭიჭინაძემ 1904 წელს მონოგრაფია მიუძღვნა — „ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)“. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ამბობდა — „ი. გვარამაძეს ჩვენ მწერლობაში ბევრი ძვირფასი ცნობარი შემოაქვს, ბევრს შემოიტანს კდევ“.

1914 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი რედაქტორობით გამოცემულ კრებულ „ძველ საქართველოში“ შეიტანა „ვინმე მესხის“ მიერ მესხეთში შეკრებილი ხალხური ლექსები, ანდაზები და გამოცანები.

1860—1912 წწ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უხვად იბეჭდებოდა მისი წერილები. მისმა ეთნოგრაფიულმა, არქეოლოგიურმა და ფოლკლორულმა მასალებმა ქართველ საზოგადოებას ფართოდ გააცნო სამხრეთ საქართველოს ვითარება თურქთა ორასწლოვანი ბატონობის პერიოდში. მის წერილებს დიდი ინტერესით

20. ჭიჭინაძე, ვინმე მესხი, 1904, გვ. 18.

21 იქვე, გვ. 40.

უთმობდნენ ადგილს — „ივერია“, „კვალი“, „დროშა“, „კობული“, „მოამბე“, „მოგზაური“ და სხვ. იგი მკითხველებს აცნობდა მტრის ულმობელი ხელით გაჩანაგებული თავისი მშობლიური მხარის ისტორიულ წარსულს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ბუნებას, ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მისი შრომები დაბეჭდილია ცალკე წიგნებადაც: „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1882 წ., „მშობლები და მათი შვილები“, თბილისი, 1881 წ., „ყვავილების კონა“, სტამბოლი, 1878 წ., „საზოგადო გეოგრაფია“ — სტამბოლი, 1881 წ.

მისი მეტად მღილარი ლოტერატურა დაცულია საქ. სახ. მუზეუმში, ხოლო არქივი ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძირითად ფონდს წარმოადგენს.

ივ. გვარამაძე (ვინწე მესხი) იყო უალრესად დიდი პატრიოტი, პედაგოგი, პუბლიცისტი, მკვლევარი, მწერალი, პოეტი.

მან დაუფასებელი ამაგი დასძო მესხეთ-ჭავახეთის შესწავლისა და იქ ეროვნული ოკითშეგნების შეტანის საქმეს.

ივანე გვარამაძე გარდაიცვალა 1912 წელს ქ. ახალციხეში,
დაკრძალულია ახალ სასაფლაოზე.

იაკობ (1852—1937) და სარა (1858—1954) ველიჯანაშვილები

დაიბადნენ სოფელ ხიზაბავრაში. იაკობი სოფლის თავკაცი იყო, გამოირჩეოდა ჭეულითა და საქმით. სოფელში არც ერთი საკითხი მის გარეშე არ წყდებოდა.

წერა-კითხვის მცირემცოდნებ ზედმიწევნით იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს ისტორია. პირადად იცნობდა პატრიოტ-მამულიშვილებს: ივანე (ვინძე მესხი) და კოსტა გვარამაძეებს, იოსებ ხუციშვილს, მიხეილ თამარაშვილს, ალექსანდრე ფრონელს, მიხეილ და იაკობ ვარძიელებს, აკაკი წერეთველს და პროფესიონალ ვახტანგ ძოტეტიშვილს. ეს უკანასკნელი 1927 წელს აგროვებდა მესხურ ფოლკლორს.

1890—1904 წლებში იაკობ ველიჯანაშვილი სხვებთან ერთად გვერდში ამოუღა მღვდელ მიხეილ ვარძიელს და ხალხისაგან შემონაწირი თანხებით ააგეს ახალი ეკლესია, აგრეთვე გაუთა და ქალთა 4-კლასიანი საერო სკოლის ორი შენობა.

მეზობელ სოფლებიდან წამოჭრილი ბევრი სადავო საკითხი. წყალზე, მიწაზე, ტყეზე, ჭალებზე, ზედაველაზე, ცხენთაჭალაზე მისი მონაწილეობით მუდამ დადებითად წყდებოდა. ამ საქმეებზე იგი ბევრჯერ წალკაზე გადავლით ფეხით ჩასულა თბილისში და გამარჯვებულს სოფელი გაუხარებია.

იაკობი კარგი მომღერალი იყო. მისი ტქბილი ხმით სოფლის ცენტრში სადღესასწაულო ფერხულებში გუგუნებდა მესხური ხალხური სიმღერები: „დიღება“, „სამშობლო“, „სუფრული“, „მეფე ჩამოვდა ხანდოსა“, „ცისკარი“, „ყელყურკაქაბო“, „ამირან მთასა მყვირალო“, „სამი ბატონის ყმა ვიყავ“, „ხიზაბავრავ მშვენიერო“ და სხვ.

1900 წელს ვარძელაშვილის დახმარებით ჩამოაყალიბეს ხიზაბავრის სასოფლო კოოპერატივი „მოკეთის“ სახელწოდებით, სადაც ხალხმა აირჩია გამგეობა. კოოპერატივის სავაჭრო 10%-იანი დანარიცხი მოგებით ჩააბარეს იაკობ ველიჯანაშვილს, ივანე მამუკაშვილს და თომა გოგალაძეს.



საქართველო
კულტურული



სურ. 16. იაკობი და სარა ველიჭანაშვილები

1905 წელს იაკობი მხარში, ამოუდგა რევოლუციონერებს: ალექსანდრე ხუციშვილს, პავლე ქუქჩიშვილს, გ. ფერერ შვეიცარს: და სხვ., რომლებიც ხიზაბავრის ცენტრში აწყობდნენ მიტინგებს: გურიაში აჯანყებულთა დასახმარებლად აგროვებდნენ ფულს, რომელიც სოფლის მშრომელთა სახელით ჩაუტანეს კიდეც ოზურებელის კომიტეტს.

იაკობ და სარა ველიგანაშვილებს 11 შვილი ჰყავდათ. 9 ვაჟი და 2 ქალიშვილი, 1924 წელს მათი ოჯახი 27 სულს ითვლიდა.

1946 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით სარა ეფრემის ასულ ველიგანაშვილს მესხეთის ისტორიაში პირველ ქალს მიენიჭა „გმირი დედის“ წოდება.

დღეს იაკობ და სარა ველიგანაშვილების შთამომავალთა რაოდენობა 180-ს აღემატება.

მიხეილ ვარძელაშვილი

(1854—1912)

სამოცი წელიც არ უცხოვრია მიხეილ ვარძელაშვილს და აქედან ნახევარზე მეტი ხალხის კეთილდღეობას მოახმარა. ძნელია თუ გაქოთდებოდა სოფელში პატარა თუ დიდი საქმე, რომლის ინიციატორი ან მონაწილე ის არ ყოფილიყო. მან დიდი ამაგი დასდო ხიზაბავრელ ღარიბ გლეხობას სოფელში აფთიაქის და-არსებით. მისი დაუღალვი შრომით სოფლისათვის შეიძინეს ხორ-ბლის სარჩევი და სანიავებელი მანქანები, რაც იმ დროისათვის მართლაც დიდი მიღწევა იყო.

მან პირადად მოიარა ფეხით საქართველოს სოფლები და შე-მონაწირი თანხით 1897 წელს ააგო ხიზაბავრის ბაზალტის ქვით ნაშენი 500 კაცის ტევაღობის უნიკალური ეკლესია, ხოლო 1902 1903 წლებში სკოლის ორი შენობა—ვაჟებისა და ქალებისათვის. ქალთა სკოლისათვის სტამბოლიდან მოიწვია მასწავლებელი ნინო პარმაქსიზაშვილი, რომელიც გოგონებს წერა-კითხვის გარდა ასწავ-ლიდა ჭრა-კერვას, ქსოვას და საოჯახო საქმიანობას; 1900 წელს საქმიანად დაეხმარა ხალხს სოფლის კოოპერატივის „მოკეთეს“ დაარსებაში.

ვარძელაშვილს მხარში უდგნენ სოფლის პატრიოტი გლეხი თავკაცები: ანდრია პაპაშვილი, იაკობ და ვასილ ველიშანაშვილე-ბი, სტეფანე/ ფეიქრიშვილი, ივანე და სტეფანე მამუკაშვილები, იოსებ ბალაშვილი, გოორგი და პეტრე ზურაბაშვილები, პავლე ჭრინიშვილი, კონა მურადაშვილი, პავლე ხიხალაშვილი, მესროფი და პავლე ხუციშვილები, თომა და იაკობ გოგალაძეები. ამიტომ არის, რომ დღესაც მადლიერების გრძნობით იხსნიებენ ამ ამაგ-დარ მამულიშვილს.





დომინიკე ივანეს ძე გულაშვილი (1860—1911)

დაიბადა და ალიზარდა ხიზაბავრაში, იგი ეკუთვნის იმ მამულიშვილებს, რომლებიც სამშობლოსათვის იფერფლებოდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ. იყო დიდი პატრიოტი, პუბლიცისტი, ქართველი ერის და ენის უმჟილო დარაჯი და ხალხისათვის თანამევდარი მამულიშვილი, რომელიც ვერაგმა მტრებმა ტერორისტული აქტით, შესყიდული ყაჩაღების სისხლიანი ხელით, ვერაგულად მოკლეს თავის ღარიბულ ქოხში, სოფელ ახალიზაში (ბეთლემში) 1911 წლის 12 ნოემბერს, რადგან მან მესხეთიდან ხიზაბავრის მცხოვრები გლეხები 1909—1910 წლებში გადმოასახლა და დაასახლა გორის რაიონის სოფელ სკრის მამულში.

იგი იყო რედაქტორი თბილისის ჟურნალ „გვარი ვაზისა“ და სხვ. როგორც წინამძღვარი, დაუღალავად იბრძოდა საქართველოს კათოლიკეთა ეკლესიებში ქართული ენის განმტკიცებისა და გერთიანებისათვის, გვერდში უდგა ივანე გვარამაძეს (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილს, პეტრე ხარისჭირაშვილს და სხვებს. დაყრდალულია გორგი კათოლიკური ეკლესის ეზოში.

იაპობ ვარძიელი²²

(1891—1938)

(1891—1938)

იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი დაიბადა სოფ. ხიზაბავრაში. სწავლობდა ჭერი ხიზაბავრის დაწყებით სკოლაში, შემდეგ კი ბათუმის გიმნაზიაში, რომელიც 1913 წელს დამთავრა.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში იგი ეცნობა არალეგალურ მარქსისტულ ლიტერატურას და მონაწილეობას იღებს მოსწავლეთა არალეგალური წრის მუშაობაში.

1913 წელს ი. ვარძიელი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1918 წელს. უნივერსიტეტის სწავლის დროს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. 1917 წელს შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ენერგიულ პარტიულ მუშაობას ეწევა მოსკოვის მუშებსა და ჯარისკაცთა შორის.


დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ი. ვარძიელი მუშაობდა მოსკოვში: იყო ქალაქ მოსკოვის ხაშოვნიჩის რაიონის მილიციის კომისარი, მოსკოვის საბჭოს ადმინისტრაციული განყოფილების გამგე და სხვა.

1920 წელს ი. ვარძიელი საქართველოში გამოგზავნეს, როგორც საბჭოთა რუსეთის მთავრობის დიპლომატიური კურიერი.

1922 წლის დასაწყისში იგი დაინიშნა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მილიციის უფროსად, ხოლო 1922 წლის დეკემბრიდან მუშაობდა ქ. მოსკოვის კრასნია პრესნიაის რაიონის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ.

1923 წლის დასაწყისში ი. ვარძიელი სამუშაოდ გადმოჰყავთ საქართველოში, სადაც ამავე წლის იანვარში ინიშნება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად. შემდეგში სხვადასხვა

²² „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში“, თბ., 1961,
83. 247.



სურ. 18. იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი

დროს მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად, საქართველოს
სსრ ცაკის მდივნად, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ
მუშათა და გლეხთა ინპექციის სახალხო კომისრის მრავალზედ,
ამიერკავკასიის სფსრ საქომისაბჭოს საქმეთა მმართველად. იყო აგ-
რეთვე საკ. კპ. (ბ) ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზი-
დიუმის წევრი.

ალექსანდრე სიმონის ძე ხუციშვილი დაიბადა სოფელ ხიზა-
(1871—1937)

ალექსანდრე სიმონის ძე ხუციშვილი დაიბადა სოფელ ხიზა-
ბავრაში 1871 წელს გლეხის ოჯახში.

მამა ადრე გარდაეცვალა. ბიძამ იგი მიაბარა ახალქალაქის სას-
წავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და დაინიშნა ხერ-
თვისის სკოლის მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ ხიზაბავრაში
იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, სადაც მრავალი წლის მანძილ-
ზე იმუშავა. იგი ადრე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1905
წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი ხიზაბავრაში სათა-
ვეში ჩაუდგა დაზარალებული გურულების დამხმარე კომიტეტს,
რისთვისაც 1906 წლის 7 თებერვალს მეფის ჟანდარმერიამ და-
აპატიმრა ახალქალაქში. იმავე წლის 16 აპრილს გაანთავისუფლეს
და განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ გადაასახლეს ჭერ-
არდაგანში, ხოლო შემდეგ ალექსანდროპოლში (ლენინაკანში).

ა. ხუციშვილი იყო ხიზაბავრაში რევოლუციური იდეების
პირველი შემომტანი. იგი ხშირად სოფლის ცენტრში თავს უყრიდა
გლეხობას, მართავდა მიტინგებს, გამოდიოდა რევოლუციური ლო-
ზუნგებით — „ძირს მეფე“, — „გაუმარჯოს თავისუფლებას“²³.

ა. ხუციშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც
ხიზაბავრაში, ისე მის შემოგარენში მდებარე სოფლებში. მაღლიე-
რი ხალხი დღესაც დიდი სიყვარულით იგონებს მას როგორც შე-
სანიშნავს პედაგოგსა და რევოლუციონერს.

²³ გაზეთი „წითელი დროშა“, 1963, 17 აგვისტო; გაზეთი „შიჭა“, 1906;
№ 5. გვ. 12, 13.



სურ. 19. ალექსანდრე ხუციშვილი

ეფრემ ველიჯანაშვილი

(1888—1957)

ეფრემ იოსების ძე ველიჯანაშვილი დაიბადა სოფელ ხიზაბავრაში. აქვე დამთავრა ოთხწლიანი საერო სკოლა. 1908 წელს გაიწვიეს ჭარბი, საიდანაც 1912 წელს დაბრუნდა. მძიმე ოჯახური პირობების გამო ამავე წელს გადადის ქუთაისში და დაქირავებულ შრომას იწყებს კერძო მაღაზიაში.

აქ იგი უახლოვდება ქუთაისის რევოლუციურ წრეს და ეწევა აქტიურ სააგიტაციო მუშაობას.

1914—1917 წლებში ფრონტზე იბრძვის. 1917 წელს ფრონტიდან ბრუნდება სოფელ ხიზაბავრაში. პირველად იგი სკოლაში შედის, კედლიდან აგდებს მეფის სურათს, ფეხით თელავს და მოსახლეობას მოუწოდებს: „ძირს ნიკოლოზი, ძირს მეფე, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს რევოლუციას!“ მოწაფეებს მარსელიოზა ამღერა. მან მთელ სოფელს რევოლუციური ალი მოსდო.

ამ განსაცდელის უამს ეფრემ ველიჯანაშვილმა სოფლის პატიოტებთან (თომა და იაკობ გოგალაძეები, ივანე ზურაბაშვილი, იაკობ ველიჯანაშვილი, სტეფანე ფილიშვილი, იოსებ ბალიაშვილი, ივანე ლექიშვილი, კონსტანტინე შეშაბერიძე, პავლე და არუთა ხუციშვილები, ალექსი თენოშვილი (პაპაშვილი), პეტრე დათაშვილი, პავლე ხიზალაშვილი, ბაგრატ ყრუაშვილი, ივანე თარხნიშვილი, სტეფანე ფეიქრიშვილი, ანდრია პაპაშვილი, სტეფანე ქუქჩიშვილი და სხვ.) ერთად ხიზაბავრაში შექმნა მოხალისე ათასეული, რომელსაც შემდეგ „განწირულთა ათასეული“ დაერქვა. ისინი უკავშირდებიან ახალქალაქში განლაგებულ ქართულ დივიზიას და მათი დახმარებით ბაკურიანიდან მოაქვთ ერთი ზარბაზანი, 4 „მაქსიმეს“ ტიპის ტყვიამფრქვევი, 600 შაშხანა და დიდი რაოდენობით ტყვია-ჭამალი. სოფელი შეიარაღდა. „განწირულთა ათასეულს“ მე-



20. ეფრემ ველიგანაშვილი

თავდადებული მამულიშვილი ეფრემი. ამ ათასეულმა 7
თვის თავდადებული ბრძოლის შედეგად გადაარჩინა მესხეთ-კვაჭაჭი
ხეთი თურქთა შემოსევისაგან და არაერთი სამკვდრო-სტრიციტის
ლო შეტაკება მოუგო მათ. ამ ბრძოლებში სიმამაცისა და თავდა-
დების მაგალითებს უჩვენებდა უშიშარი მეთაური ეფრემ ველი-
ჯანაშვილი.

კონსტანტინე ივანეს ძე შემაგრიძე
(1873—1937)

სამშობლოსათვის თავდაღებული, დიდი პატრიოტი კონსტანტინე შეშაბერიძე დაიბადა 1873 წ. სოფელ ვარგავში ლარიბი გლეხის ოჯახში. ჭევიანი და სწავლის წყურვილით გატაცებული ბავშვი მამამ მიაბარა ახალქალაქის 6 კლასიან სამოქალაქო სკოლაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სკოლის რეკომენდაცით ინიშნება ახალციხის საერო სკოლის სახალხო მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ ბათუმში იწყებს მასწავლებლობას, რის შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა ივანე გვარამაძის დახმარებით და რეკომენდაცით იგზავნება სწავლის გასაგრძელებლად კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სასულიერო სასწავლებელში.

1912 წელს მიხეილ ვარძიელის გარდაცვალების შემდეგ კ. შეშაბერიძე ინიშნება ხიზაბავრის ოთხელსიანი საერო სკოლის მასწავლებლად, სადაც მოღვაწეობს 1928 წლამდე. ამ პერიოდში ხალხის წინაშე მან დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი და ღრმა პატივისცემა. ჰქონდა საღი მეტყველება და ტკბილი საუბარი, რომლითაც იზიდავდა ფართო მასებს. ის მონაწილეა ახალციხეში 1905 წლის რევოლუციური ამბებისა.

კ. შეშაბერიძემ 1918—1921 წწ. გასწია თავგანწირული ბრძოლა სამცხე-ჯავახეთში შემოსეულ თურქთა წინააღმდეგ. იგი იყო აგრეთვე ინიციატორი ყაზბეგიდან ჯავახეთში, სოფელ ხოსპიოში ქართველების გადმოსახლებისა.

1918 წელს ჯავახეთის მოსახლეობის ევაკუაციის დროს გახდა ჯავახ ლტოლვილთა დახმარების ინიციატორი. ბაკურიანში გახსნა საავადმყოფო, უპატრონო ბავშვთა სახლი, სასაღილო, პროდუქტებისა და ტანსაცმლის მომარაგების პუნქტები და სხვა.

კ. შეშაბერიძე შესანიშნავი მცოდნე იყო ქართული, რუსული და სომხური მწერლობისა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებში „სოციალ-დემოკრატში“, „პიტალო კლდეში“, „კომუნისტში“, რომლებშიაც მუდამ საინტერესო შინაარსიან წერილებს აქვეყნებდა.

ბაგრატ გიორგის ძე ყრუაშვილი დაიბადა ხიზაბავრაში, ღა- რიბი გლეხის ოჯახში. 1903 წელს დაამთავრა 4 — ქლასიანი საერთ- სკოლა, რის შემდეგ ოჯახში შრომობდა. 1912 წელს გაიწვიეს სამ- ხედრო სამსახურში, სადაც მოუსწრო 1914 წლის პირველმა მსო- ფლიონ ომმა და 1917 წლამდე მეფის რუსეთის არმიაში მსახურო- ბდა.

1918 წელს იგი ხიზაბავრის ე.წ. „განწირულთა“ ათასეულის
მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურად ინიშნება. მისი ასეული
7 თვეის მანძილზე შეიშის ზარს სცემდა თურქებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ
ბაგრატ ყრუაშვილი მუშაობს სახალხო მილიციის ორგანოში. 1924
წლიდან ინიშნება ხიზაბავრის თემსაბჭოს თავმჯდომარედ, 1927
წელს შედის სკპ რიგებში. 1924 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა
ხიზაბავრაში პირველი კომკავშირის უჯრედი, რომელსაც სათა-
ვეში ჩაუდგა იოსებ ანთაძე.

ბ. ყრუაშვილი იყო დაუღალავი, ენერგიით აღსავსე და სპე-
ტაკი ბოლშევიკი, სოფლის გულშემატკივარი, ხალხის გულის მე-
საიდუმლე. სოფლის საავადმყოფო, ძელი დანგრეული არხები და
გზები სრულ წესრიგში მოიყვანა. იღვწოდა ხალხის საკეთილდღე-
ოდ. კერძო პირთაგან მიტაცებული გომის ბალი ჩამოართვა ვა-
ჭარ-ექსპლოატატორებს და გადასცა ხიზაბავრის საკოლმეურნეო
ახალგაზრდობის 7-წლიან სკოლას მუდმივ სარგებლობაში.

მისი წინადადებით და ხელმძღვანელობით 1933 წელს აღ-
დგა ოქროსქვის გზა, ვერხვნალის და სახიზრის დიდ ფერდობზე,
70 ჰექტარზე, გაშენდა ფიჭვნარის ტყე.

ბაგრატ ყრუაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კოლმე-
ურნეობის დაარსებაში.

თამარ მაზრიშვილი

თამარ სიმონის ასული მაზრიშვილი დაიბადა 1910 წელს ხი-ზაბავრაში, ლარიბი გლეხის ოჯახში. 8 წლის ბავშვი უმწეო დედამ აღსაზრდელად მიაბარა თბილისის საბავშვო სახლში. 1929 წელს ამთავრებს საშუალო სკოლას და ამავე წელს შეღის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1934 წელს უნივერსიტეტს ამთავრებს. შემდეგ ინი-ზნება ქართული ენის მასწავლებლად მცხეთაში, ხოლო 1935 წელს გადადის თავის მშობლიურ სოფელ ხიზაბავრაში. აქ მას ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ ნიშნავენ, ხოლო 1941 წელს აწინაუ-რებენ სკოლის დირექტორად. თამარ მაზრიშვილი გულისხმიერი აღმზრდელია, კარგი მასწავლებელი, რომლის თვალშინ გაიარა ხი-ზაბავრის საშუალო სკოლის წარსულმა. აქ აღმზრდილი თაობები მის გვერდით დავაგუაცებული ადამიანები არიან, რომლებიც საბ-ჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ იბრძიან.

თამარ მაზრიშვილმა დაძლია ყოველგვარი დაბრკოლება, საიმედო ცოდნის მარცვალი მთელი მონდომებით ჩათვა ყამირ მი-წაში და მერე გალმოხდილი გავიდა პენსიაზე.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მესხეთის ახა-ლი თაობის აღმზრდის საქმეში თამარ მაზრიშვილის მიერ გაწეული შრომა. ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის იგი დაჯილ-დოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“, მედლით „1941—1945 წწ. მამაცური შრომისათვის“. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

თამარ მაზრიშვილი 1925 წლიდან კომკავშირელია, 1941 წლიდან სკკპ წევრი.

მირი ტატურაშვილი

მერი პეტრეს ასული ტატურაშვილი დაიბადა 1938 წელს ხიზაბავრაში, კოლმეურნეობის ოჯახში. მამა პეტრე და დედა შუშანა ხიზაბავრის მკვიდრი მცხოვრები იყვნენ, შემდეგ კი გადასახლდნენ გორის არაინის სოფელ ნაწრეტში. მერის პაპის დიდი პაპა იყო „დალი“ — ბავლე ტატურაშვილი.

1954 წელს მერი ამთავრებს სოფელ წითელუბნის რვაწლიან სკოლას და რჩება თავის სოფელ ნაწრეტის კოლმეურნეობაში სამუშაოდ. შრომისმოყვარე გოგონა თავდადებით მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებში, ოთხი წლის შემდეგ კი 1958 წელს მუშაობას იწყებს გორის საკონსერვო ქარხანაში მუშად, აქვე 1961 წელს შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. 1962 წელს მერი გადაღის გორის ბამბეულის კომბინატში მრთველად, საღაც დღესაც განაგრძობს თავდადებულ ნაყოფიერ შრომას, რისთვისაც 1964 წელს მიენიჭა „შრომის დამკვრელის“ წოდება.

1967 წელს საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებით იგი დაჯილდოვდა „შრომის ფრიაღოსნის“ სამკერდე ნიშნით, ხოლო 1970 წელს ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით — საიუბილეო მედლით. ახალგაზრდა ქალი ამავე წელს არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1971 წელს კი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად. 1970 წელს მოსკოვში უმაღლესი საბჭოს სესიაზე ყოფნისას მას ირჩევენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მსუბუქი მრეწველობის კომისიის წევრად.

1971 წელს საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომბარტიის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მერის აჯილდოებენ „შრომის წითელი დროშის ორდენით“.

მერი ტატურაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. არის გორის საქალაქო კომიტეტის წევრი, კომბინატის სართავი ფაბრიკის პარტბიუროს წევრი და საამქროს პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი. მან წარმოებიდან მოუწყვეტლად დაამთავრა საუკალო სკოლა და 1972 წელს ასევე წარმოებიდან მოუწყვეტლავ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ସ୍ତ୍ରୀ 21. ମେରି ପ୍ରାତିଶ୍ରୀରାମ୍ବିଲ୍ଲି

დაგით პაპაშვილი

თადარიგის პოლკოვნიკი დავით ვასილის ძე პაპაშვილი დაიბადა 1913 წელს სოფელ ხიზაბავრაში, გლეხის ოჯახში.

1921—1929 წლებში დავითი სწავლობდა ხიზაბავრის საშუალო სკოლაში, საიდანაც ახალქალაქის მაზრის კომქავშირის კომიტეტის დახმარებით გაგზავნეს ბაქოს სამხედრო მოსამზადებელ სკოლაში, რომელიც 1933 წელს დაამთავრა და ოფიცირის წოდება მიიღო.

1940—1941 წლებში მსახურობდა ბაქოს მე-3 საზენიტო მეტყვიამფრქვევეთა ლეგიონში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1941 წლის ივნისიდან ლეგიონის შტაბის უფროსის მოადგილეა, აქტომბრიდან კი 224-ე მსროლელი დივიზიის 143-ე ლეგიონის შტაბის უფროსი. ამ ლეგიონის შენაერთთან ერთად 1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის მარტამდე იბრძოდა ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის.

მარტის ბოლო რიცხვებში იგი დაიჭრა, მაგრამ მალე კვლავ ჩადგა მებრძოლთა რიგებში. 1942 წლის მაისიდან 1943 წლის 10 მაისამდე 414-ე ქართული დივიზიის 1371-ე მსროლელი ლეგიონის შტაბს ხელმძღვანელობდა და ბრძოლით განვლო გზა გროზნიდან პრიმორსკო-ახტაროკამდე, საიდანაც სამხედრო აკადემიაში გააგზავნეს. 1943 წლიდან 1945 წლიმდე 104-ე მსროლელი კორპუსის მეთაურის მოადგილე იყო და კიევიდან ბუდაპეშტამდე სდია მტერს.

დ. პაპაშვილი 1944 წლის აპრილიდან 1946 წლის ნოემბრამდე სამხედრო კომენდანტის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო შემდეგ სამხედრო სამსახურში იყო. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია.

თადარიგის პოლკოვნიკი დ. პაპაშვილი დაჭილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ღრიშის, წითელი ვარსკვლავისა და დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით, აგრეთვე ცხრა მედლით.

დემობილიზაციის შემდეგ, 1956 წლიდან დღემდე მსახურობს საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბში.

ଓଡ଼ିଆରେ
ବିଜ୍ଞାନ



ସ୍ତ୍ରୀ. 22. ଡାକ୍ତର ପାପାଶ୍ଵିଲୀ

გაგრატ შიოლანაძე

დაიბადა 1913 წელს ასპინძის რაიონის სოფ. საროში. მისი მამა მიხეილი მშრომელი გლეხი იყო. 1930 წელს დაამთავრა ხიზა-ბაცრის საშუალო სკოლა. 1931 წელს შედის საბჭოთა ორმიის რი-გებში და 1933 წლამდე მე-3 ქართული მსროლელი ლეგიონის სკო-ლის კურსანტია. 1933 წლიდან 1936 წლამდე კი ამიერკავკასიის ფეხსანთა სკოლის კურსანტი. 1936 წელს სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ ღებულობს ლეიტენანტის წოდებას და ინიშნება მე-4 ქართული მსროლელი ლეგიონის ოცეულის მეთაუ-რად. 1938 წლის აპრილში გადაიყვანეს ქ. თბილისში ფრუნზეს სახელობის 63-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში შტაბის განყო-ფილების უფროსის მოადგილედ. 1938 წლის ივლისიდან მუშა-ობს ხარკოვის სამხედრო ოლქში განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1939 წელს წითლანაძე ამთავრებს ერთწლიან სპე-ციალურ საშტაბო კურსებს ქ. ტამბოვში, რის შემდეგაც ინიშნება განყოფილების უფროსად 25-ე დივიზიაში. ამ დივიზიამ, რომლის შემადგენლობაშიც მსახურობდა ბ. წითლანაძე, აქტიური მონაწი-ლეობა მიიღო დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებაში. 1939 წლის ბოლოს ბაგრატი გადაიყვანილ იქნა ხარკოვში მე-14 მსროლელ კორპუსში. განყოფილების უფროსის მოადგილედ და პირველი დღეებიდანვე. ებმება ფინეთის ოპერაციაში. 1940 წლიდან გადაიყ-ვანეს ოდესის სამხედრო ოლქში მე-11 სატანკო დივიზიის განყო-ფილების უფროსად.

ბ. წითლანაძემ სამშობლოსათვის უსაზღვრო სიყვარული და სამხედრო საქმის ჩინებული ცოდნა გამოამჟღავნა დიდი სამამულო ომის წლებში. მე-11 სატანკო დივიზიამ, რომლის შტაბსაც იგი ხელმძღვანელობდა, მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა სამა-მულო ომის ისტორიაში. ამ სატანკო დანაყოფმა სისხლისმღვრელი ბრძოლებით გადათელა გერმანელების თავდაცვითი ნაგებობები, გაუ-ლიტა და გაანადგურა მტრის ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი. წყობილებიდან გამოიყვანა ასობით ქვემეხი და ნაღმსატყორცნი,



სურ. 23. ბაგრატ ჭითლანაძე

რკინის ნაფლეთებად აქცია 40-მდე „ვეფხვი და „პანტერა“, ელგისე-
ბურად მოსპო მტერი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში. აქ წარ-
მოებულ ბრძოლაში ბაგრატ წითლანაძის მამაცობაზე საფრთხოები
გაზეთებმა მრავალი სტატია და წერილი გამოაქვეყნეს. ამ ბრძოლების
ში თავდადებისათვის გვარდის პოლბოლკოვნიკი ბაგრატ წითლანაძე
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ თავისი უმაღლესი ჭილდოთი „საბრ-
ძოლო ჯვარით“ დააჭილდოვა. მის მკერდს 6 საბრძოლო ორდენი და
14 მედალი ამშვენებს. სკუპ წევრია 1939 წლიდან.

სამამულო ომის ფრონტზე გამოჩენილი გმირობისა და მამა-
ცობისათვის მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ.
სტალინის 27 მადლობა.

ბ. წითლანაძე 1947 წლიდან 1958 წლამდე სამხედრო სამსახურ-
ში იყო, ხოლო 1958 წლიდან თადარიგში გადის. თადარიგში გას-
ვლის შემდეგ მუშაობს საქართველოს სსრ მელიორაციისა და
წყალთა მეურნეობის სამინისტროში.

ხიზაბავრიდან გადასახლებულები საქართველოს სხვა რაიონებში

№	გადასახლდნენ	როდის გადასახ.	რამდენი კოშკი	სულადობა
1	ოშორა (ასპინძის რაიონი)	1750	21	85
2	საჩო (ასპინძის რაიონი)	1800	16	74
3	ბნელა (ასპინძის რაიონი)	1826	10	45
4	გარგავი (ასპინძის რაიონი)	1828	12	48
5	ქუთათასი	1905	13	55
6	ახალ ხიზა (სკრა—გორის რაიონი)	1910	25	100
7	სანავარდო (ყვარლის რაიონი)	1911	22	85
8	ხიზა—გურგენიანი (ლაგოდეხის რაიონი)	1918	23	110
9	ზესტაფონი	1917	25	100
10	ნაწრეტი (გორის რაიონი)	1927	12	50
11	თბილისი	1927	28	120
12	შრომ (ლაგოდეხის რაიონი)	1932	7	30
13	ნინიგორი (ლაგოდეხის რაიონი)	1933	21	83
14	მახარაძის რაიონი	1933	20	80
15	ქარელის რაიონი	1934	10	42
16	ბაღდადი—მაიაკევსკი	1936	15	60
17	მთისძირი (ყვარლის რაიონი)	1937	30	120
18	ასპინძა	1944	40	175
19	ვალე (ახალციხის რაიონი)	1945	10	30
20	აბასთუმანი—გარხანი (ადიგენის რაიონი)	1945	18	80
21	ქიქინეთი (ადიგენის რაიონი)	1946	20	85
22	ფქერო (ადიგენის რაიონი)	1946	6	36
23	თისელი (ახალციხის რაიონი)	1946	14	48
24	გამარჯვება (გარდაბნის რ—ნი)	1947	13	45
25	ქოლაქი რუსთავი	1948	20	70
სულ		—	454	1868
დღეს ხიზაბავრაშია		—	315	1012

შ 0 5 ა პ ს 0

წინასიტყვაობა	3
ხიზაბაერა	5
ხიზაბაერის ისტორიული ძეგლები	13
უმიას ქვა	19
ხიზაბაერის ბუნებრივი საყინულე	21
ხიზაბაერული თქმულებები	22
ხიზაბაერელი კატო	24
ხიზაბაერელი ფალანები	27
სოფლის მეურნეობა და შინამრეწველობა	31
ხიზაბაერის სკოლა	34
ხიზაბაერი მენეჯერების ბატონობის პერიოდში	37
განახლებული ხიზაბაერა	42
ხიზაბაერელები დიდ სამამულო ოში	46
სამამულო ომიდან ინვალიდები დაბრუნდნენ	49
ტოპონიმიკა	50
ხიზაბაერის სახელოვანი ადამიანები	52
იოსებ ხუციშვილი	55
პეტრე ხარისჭირაშვილი	58
ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)	62
იყობ და სარა ველიჩაშვილები	66
მიხეილ ვარძელაშვილი	69
დომინიკე ივანეს ძე მულაშაშვილი (პაჭაძე)	71
იაქობ ვაჩიძელი	72
ალექსანდრე სიმონის ძე ხუციშვილი	75
ეფრემ ველიჩანაშვილი	77
კონსტანტინე ივანეს ძე შეშაბერიძე	80
ბაგრატ გომირგის ძე ყრუაშვილი	81
თამარ მაზმიშვილი	82
მერი ტატურაშვილი	83
დავით პაპაშვილი	85
ბაგრატ ჭითლანაძე	87
ხიზაბაერიდან გადასახლებულები საქართველოს სხვა	
რაიონებში	90



Михаил Яковлевич Велиджанашвили ПУТЕВОДИТЕЛЬ ПО ХИЗАБАВРИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებათ

*

რედაქტორი დ. ცინცაძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ამაშუკელი
ტექნიკური ნ. ბოკერია
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 6.11.1973; ხელმოწერილია დასახელდად 7.2.1974
ქაღალდის ზომა 60×90_{1/16}; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 6,0
საალბინცო-საგამომცემლო თაბახი 4.88;

უ 00823;

ტირაჟი 4000;

შეკვეთა № 2795

ფასი 50 გაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецнериеба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. კვადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

18/65.

ფასი 50 კაბ.

